თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

მეგა კრედიტი

Mega Credit

ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45

ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

თამარ ღვინიანიძე:

## „გოჩა თევდორაძეს ჩვენთვის თითის დაქნევა სურდა!“





იხილეთ მე-6 გვერდზე

№ 18 (668) 3 - 9 ივნისი, 2013 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი www.psnews.ge

# „ღირსებაშელახული“ ჯაჭვის ხიდი



„P.S.ფოტო“ (ირინა აბჟანდაძე) ©

**ხიდის ისტორია** (მათთვის, ვისთვისაც სულერთი არ არის კულტურული ფასეულობა): ჯაჭვის ხიდის ქვის საყრდენები უძველეს ხანას მიეკუთვნება. მე-19 საუკუნის დასაწყისში აქ გადებული იყო ხიდი, რომელიც 1848 წელს შეცვალა ახალმა, ასევე ხის ხიდმა. 1866 წელს ხიდის ბოძების ნაცვლად ჯაჭვები გააბეს. ჯაჭვი ორი იყო, თითოეული, დაახლოებით, 22 მეტრი სიგრძისა. მათი საშუალებით მოეწყო ხიდის სავალი ნაწილი. ამრიგად, ჯაჭვებზე დაკიდებული ახალი ხიდი საბარგო-დაკიდული ხიდების პრინციპზე იქნა აგებული. მაშინ მას „ჯაჭვის ხიდი“ შეარქვეს და დღემდე შერჩა ეს სახელწოდება. 1869 წელს ხიდი ჩაწყვეტილა და აღდგენა მხოლოდ 1885 წელს მოუხერხებიათ. ქვის ძველ საყრდენებზე გადეს ლითონის ფერმები, მასზე მოეწყო ხიდის სავალი ნაწილი და გაუკეთდა ლითონის მოაჯირი. 1963 წელს დაუმატეს კიდევ ერთი ფერმა. ამით ხიდის სავალი ნაწილის გაზრდასთან ერთად, შესაძლებელი გახდა მინიმალური სიგანის ტროტუარების გაკეთებაც.

**ქუთაისის ხიდებს შორის ჯაჭვის ხიდი უძველესია. ოდესღაც სამეფო ხიდად წოდებული ეს უნიკალური ნაგებობა დღეს „ღირსებაშელახულია“ — მისი მიმდებარე ტერიტორია, რიონის ორივე ნაპირი, ნაგავსაყრელად არის ქცეული.**

ბოთლები, კარდონები, ქაღალდები, ცელოფნის პარკები, ძონძები... ეს მცირედი ჩამონათვალია იმ უსარგებლო ნივთებისა, რიონის ორივე ნაპირს რომ შეჰფენია...

დავინტერესდით საზოგადოებრივი აზრით — იმ ადამიანების შეფასებით, ვისაც თითქმის ყოველდღე და დღეში რამდენჯერმეც კი უწევს ხიდის გადავლა. მივმართეთ შეკითხვით — თუ როგორ შეაფასებენ რიონის სანაპიროს ასეთ მდგომარეობას და, მათი აზრით, რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

გამოკითხულთა დამოკიდებულება თითქმის ერთგვაროვანი აღმოჩნდა:

**მარინა ჯანხოთელი,** დიასახლისი: „თითოეულმა ჩვენგანმა უნდა დავიცვათ, შვილო, სისუფთავე, თუ არა, მთავრობა სულ ხო არ დაგვიდგება აქ და გვიყარაულებს — არიქა, არ დაყაროთ ნაგავიო. ხალხმა უნდა ისწავლოს ჭკუა, ხალხმა!“

გაგრძელება მე-3 გვრედზე



## ვინ არის ქუთაისის მომავალი მერი — დიმიტრი კოპალიანი?

იხილეთ მე-2 გვერდზე



## „იწყებენ ყავის სმით და ამთავრებენ ბოზობით“

ჭიათურელი ქალბატონის გზავნილი ხელისუფლებას

იხილეთ მე-5 გვერდზე

## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ბავშვები ქუჩაში შეხვდნენ

სახელმწიფო მოზარდებზე სრულყოფილ ზრუნვას ვერ ახერხებს

იხილეთ მე-4 გვერდზე

## რუსული მავთულხლართები ძირძველ ქართულ მიწაზე

იხილეთ მე-2 გვერდზე

## ახალი ნაგავსაყრელი, რომელიც მთელ იმერეთს მოემსახურება, 21 მილიონი ევროს ღირებულებისაა

იხილეთ მე-3 გვერდზე

## საქართველოს უსინათლოთა კავშირის წევრები სახელმწიფოს მხრიდან თანადგომას ითხოვენ

„შეზღუდული შესაძლებლობების არ არსებობს“

იხილეთ მე-5 გვერდზე

მუზეუმი „საწერეთლო“, რომელსაც თანადგომა სჭირდება

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი

qimerioni.ge

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ჰოროსკოპი — 8. სკანვორდი — 8.

# რუსული მავთულხლართები ძირძველ ქართულ მიწაზე

**რუსი ჯარისკაცები შიდა ქართლში შემოიჭრნენ და მავთულხლართებს ავლებენ. საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საუბარია სოფელ დიცთან და სოფელ დვანთან, 22-25 კილომეტრიან მონაკვეთზე. მავთულხლართების გაჭიმვის დროს რუსი სამხედროები საბჭოთა რუკებით სარგებლობენ.**



მიუხედავად ამისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ რუსული საოკუპაციო ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ღობეების აგებისა და საზღვრის საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში გადმოწევის გამო „ისტერიკაში გადავარდნა" საჭირო არ არის.

ხუთშაბათს საღამოს ტელეკომპანია „კავკასიის" თოქ-შოუში საუბრისას ივანიშვილმა განაცხადა, რომ მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რაც დიპლომატიურ ფრონტზე იყო საჭირო, რათა ამ საკითხის მიმართ საერთაშორისო პარტნიორების ყურადღება მიეპყრო.

„მე უფრო ზომიერად ვეკიდები ამ საკითხს, რადგანაც მგონია, რომ გაუგებრობაა უფრო მეტი აქ, ვიდრე პოლიტიკა მართული ცენტრიდან, კრემლიდან; მე ასეთი ეჭვი მაქვს, თუმცა მტკიცებულებები ამისა არ გამაჩნია. დაველოდოთ მოვლენებს," — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„სამწუხაროდ, ეს იმ პოლიტიკის გაგრძელებაა, რისი უფლებაც და რისი საშუალებაც ჩვენ რუსებს 2008 წლის აგვისტოში მივეცით. რუსებმა მკაფიოდ იგრძნეს, რომ ქართულ-ოსური შერიგება დაიწყო და ამ ნაგებობებს და მავთულხლართებს სწორედ ოსების წინააღმდეგ აკეთებენ და არა ქართველების... ოსები 200-300 მეტრით კი არ შემოდიან, არამედ გორში, თბილისში ჩამოდიან. აქ ვაჭრობენ, მკურნალობენ და მათ ტოტალურად დაიწყეს ქართველებთან ურთიერთობა და ამის წინააღმდეგ არის რუსეთის ქმედება მიმართული," — განაცხადა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა **პაატა ზაქარეიშვილმა**.

მინისტრის განცხადებით, სოფელ დიცის მიმდებარედ არანაირი საოკუპაციო ხაზის გადმოწევა არ მომხდარა, არამედ რუსები იმ პოზიციებს იკანონებენ, რომლებსაც მიიჩნევენ, რომ 2008 წელს დაიპყრეს.

ზაქარეიშვილის განმარტებით, იქ არანაირი საზღვარი არ გადის, არამედ გამყოფი ხაზებია და იგივე 200-300 მეტრზეა საუბარი, სადაც გადასვლისთვის ქართველებს ისედაც აკავებდნენ, უბრალოდ, ახლა იქ მავთულხლართების გაბმა და საგუშაგოების მშენებლობა მიმდინარეობს.

„რუსებს უნდათ ემოციებში აგვიყოლიოს, როგორც ეს სააკაშვილის დროს ხდებოდა. ჩვენი ამოცანაა სიმშვიდე შევინარჩუნოთ და დავიცვათ ჩვენი მოქალაქეები. მადლობა ღმერთს, სისხლი არ იღვრება. ჩვენ ადგილზე უნდა შევინარჩუნოთ მოსახლეობა. რუსეთი 300 მეტრით კი არა, კილომეტრებით არის შემოსული და თქვენ გინდათ, 200-300 მეტრის გამო გამოვუცხადოთ რუსებს ომი?!" — განაცხადა რეინტეგრაციის მინისტრმა.

ზაქარეიშვილის აზრით, სურს საქართველო ჩართოს მოლაპარაკებებში იმის თაობაზე, თუ სად გადის საზღვარი. შეიძლება, შემდეგ 400-500 მეტრიც დათმონ, მაგრამ ამით მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების ლეგიტიმაციას მოახდენენ. სახელმწიფო მინისტრი იმასაც აცხადებს, რომ საქართველომ მსოფლიოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ამის შესახებ, თუმცა „მსოფლიო რუსეთის უხეში ძალის წინაშე უძლურია."

### რა შეუძლია საქართველოს?

საგარეო საქმეთა მინისტრის **მაია ფანჯიკიძის** განცხადებით, ე.წ. საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით ოფიციალურ თბილისს მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა შეუძლია.

„ჩვენ შეგვიძლია, გადავდგათ მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯები, რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადადგმულია," — განაცხადა ფანჯიკიძემ. მისივე თქმით, შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით, რუსეთს გაეგზავნა ნოტა, რომელშიც მკაფიო და ძლიერი პროტესტია გამოთქმული.

„მოვთხოვეთ რუსეთს საერთაშორისო ვალდებულებების დაცვა. ასევე მოვთხოვეთ 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულების პირობების შესრულება და გამოვხატეთ პროტესტი იმის გამო, რაც ხდება," — განაცხადა მინისტრმა.

მინისტრი აბაშიძე-კარასინის შეხვედრის ფორმატსაც შეეხო:

„ეს არ გახლავთ აბაშიძე-კარასინის შეხვედრის თემა და ფორმატი, მაგრამ მიუხედავად ამისა, რასაკვირველია, წარმოუდგენელია, რომ ახლა რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ და ღვინისა და კულტურის შესახებ საუბარი წყნარად გააგრძელონ," — განაცხადა ფანჯიკიძემ.

### საჭიროა, პოზიტიურად აგრესიული საგარეო პოლიტიკა ვაწარმოოთ...

საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე, ამჟამად კი „საქართველოს რეფორმების ასოციაციის" (GRASS) წარმომადგენელი, სერგი კაპანაძე „კვირის პალიტრასთან" საუბარში ამბობს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა ყველაზე დიდი პრობლემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე მიმართ განსხვავებული აზრის ქონაა.

„ხელისუფლებას მინდა შევახსენო, რომ რუსეთი ასეთ ნაბიჯებს არამარტო 2008 წელს, უფრო ადრეც დგამდა. იმის ილუზია არ უნდა გვქონდეს, რომ რუსეთი იმ აგრესიულ ნაბიჯებს ერთი-ორი კონკრეტული პიროვნების გამო დგამდა და ახლა შეჩერდება. მას ასეთი ზრახვები 2008 წლამდეც ჰქონდა და მომავალშიც ექნება. მე ძალიან კარგად ვიცნობ რუსეთს და ისიც ვიცი, რომ ის ყოველთვის იმოქმედებს საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად," — აცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე. მისივე თქმით, ახალი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ძველმა ზუსტად იცოდა, ასეთი ტიპის ქმედებებზე როგორი შეფასება უნდა მიეცა და რა რეაქცია უნდა ყოფილიყო, ანუ როგორი საჯარო გზავნილი უნდა გაგვეკეთებინა.

„აქ კი, გზავნილს ვინ ჩივის, თვითონ დამოკიდებულებაც უკიდურესად შემაშფოთებელია. თუმცა, ამის გამოსწორება შეიძლება, თუკი სტრატეგიას შეიმუშავებენ — როგორ ქმედებებზე რა რეაქცია უნდა ჰქონდეთ. არასერიოზულია, როდესაც ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევის დროს ერთი მინისტრი გამოდის და ამბობს, ეს ყველაფერი სხვისი ბრალიაო; მეორე კი ამბობს, ეს პრობლემა არ არის, რადგან რუსები საბჭოთა კავშირის დროს არსებულ საზღვრებს სწევენ და ამაში სახიფათო არაფერიაო. სახიფათო კი არა, დამღუპველია," — ამბობს **სერგი კაპანაძე.**

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ექსპერტის **თორნიკე შარაშენიძის** განცხადებით, რუსეთს უნდა დავანახოთ, რომ მარტო არ ვართ და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს დასავლელი პარტნიორები უჭერენ.

„იმ პირობებში, როცა ჩვენი მხრიდან მიდის მაქსიმალურად კონსტრუქციულ რეჟიმში საუბარი, შეიცვალა ოკუპაციის შესახებ კანონი, ვაკეთებთ დემონსტრირებას, რომ ვართ გახსნილები რუსებთან ურთიერთობაში, მათი მხრიდან ასეთი ნაბიჯი არალოგიკურია. თუ უნდათ, რომ საქართველო თავისი გავლენის სფეროში დააბრუნონ, წესით, პირიქით უნდა მოიქცნენ. მათ საქციელს მხოლოდ ერთი ახსნა აქვს: როგორც ჩანს, მიაჩნიათ, რომ მაინც ვერსად გავიქცევით, მათ იქით გზა არ გვაქვს, ამიტომ მოითხოვენ დათმობას ყველაფერში," — განაცხადა შარაშენიძემ.

ექსპერტის აზრით, როგორც ჩანს, კარასინი-აბაშიძის ფორმატში მიმდინარე დიალოგში დათმობა არ მოხდა და კეთდება დემონსტრაციული ნაბიჯები, რომ ჩვენ გვინდა თქვენგან ყველაფერი, თან რაც შეიძლება მალე. ალბათ, დიალოგის დროს ისინი რაღაც დათმობებს მოელიან, რომელიც ვერ მიიღეს.

„ჩვენ მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ დასავლელ პარტნიორებთან, რათა რუსეთს დავანახოთ, რომ ჩვენ მარტო არ ვართ და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს დასავლეთი უჭერს. საჭიროა, ჩვენ პოზიტიურად აგრესიული საგარეო პოლიტიკა ვაწარმოოთ, რათა ყველას გავაგებინოთ, რა ხდება აქ. უნდა შევაწუხოთ ჩვენი მეგობრები, რათა რუსეთთან მარტო არ დავრჩეთ," — აცხადებს თორნიკე შარაშენიძე.

**ცოტნე პაატაშვილი**

# ვინ არის ქუთაისის მომავალი მერი – დიმიტრი კოპალიანი?

**მოლოდინის მიუხედავად, ქუთაისმა მერი ვერ აირჩია. საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ქალაქის მერის დამტკიცების თარიღად 29 მაისი დააანონსა, თუმცა საკრებულოს 29 მაისის სხდომის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ ქალაქის თავის დამტკიცების საკითხი დღის წესრიგში შეტანილი არ იყო.**



კომისიას გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს და წინასწარაა ცნობილი ქუთაისის მომავალი მერის ვინაობაც. თუმცა, კომისიის თავმჯდომარის, თამაზ მარგველაშვილის თქმით, ქალაქის მერის დამტკიცება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც საპრეტენზიო კომისია დაასრულებს მუშაობას. აღსანიშნავია, რომ საპრეტენზიო კომისიისთვის მერობის არცერთ კანდიდატს არ მიუმართავს.

ქუთაისის საკრებულომ ქალაქის მერი, სავარაუდოდ, ხუთი დღის ვადაში უნდა დაამტკიცოს.

მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა პროტესტი „დაწუნებული" კანდიდატების მხრიდან, ეს არაფერს შეცვლის და, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ქუთაისის ახალი, რიგით მეთერთმეტე მერი დიმიტრი კოპალიანი გახდება.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის უკვე ყოფილი მერის, ბესიკ ბრეგაძის თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გადაყენებისთანავე მის შემცვლელად აქტიურად განიხილებოდა სწორედ დიმიტრი კოპალიანის კანდიდატურა. აქედან გამომდინარე, საკონკურსო კომისიის არჩევანი მოულოდნელი არ იყო.

ამერიკაში მცხოვრები, ქუთაისის მკვიდრი **დიმიტრი კოპალიანი** ერთ-ერთი წარმატებული ბიზნეს-ადმინისტრატორი და კომპიუტერულ მეცნიერებათა სპეციალისტია. კოპალიანს 1992-2007 წლებში დამთავრებული აქვს ლოურენსისა და მიჩიგანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტები. ის იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი სტუდენტი, რომელმაც UWN -ის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება. საბაკალავრო ხარისხი კი ქუთაისის აკაკი წერეთლის (ყოფილი „გეპეი") უნივერსიტეტში, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას მიიღო. 2005 წლიდან დღემდე მუშაობს ლოურენსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორად. იგი ასევე არის Enterprise Architeect- ის საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემების დეპარტამენტის დირექტორი. 1991 წელს მას დიდ ბრიტანეთში მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირებისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა უმაღლესი ხარისხის დიპლომი. დიმიტრი კოპალიანის პროექტები და პროგრამები დანერგილია აშშ-ს არაერთ IT კომპანიაში. ფლობს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებს. არის 43 წლის. დაოჯახებულია. ჰყავს უცხოელი მეუღლე და სამი შვილი.

არაოფიციალურად, ამერიკიდან დიმიტრი კოპალიანის ჩამოყვანის ინიციატორი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი იყო.

**მარი პატარაია**
psnews.ge

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**რედაქტორი:**
ნანული ცხვედიანი

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

**რეკლამის მენეჯერი:**
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება,
არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
R — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# „ღირსებაშელახული" ჯაჭვის ხიდი

**პირველი** გვერდიდან

**ამირან სვანიძე:** „უნდა დაიცვან სისუფთავე, ხალხის ბრალია მაგი!"

**გურამ სიხარულიძე,** ინჟინერ-მექანიკოსი: „ხო, მარა, მარტო მაგი არ კმარა! კი, ბევრია ტუტუცი, უნდა დააჯარიმონ, ვინც ნაგავს დაყრის და ისწავლიან მერე ჭკუას!"

**მზია ჯიქიძე,** მცხობელი, ყოფილი პედაგოგი: „ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ ლამაზი იყოს ჩვენი ქუთაისი. ყველას გვიხარია სისუფთავის, სილამაზის ყურება. ამას დაფასება უნდა. ადრე ეწყობოდა შაბათობები, ვრგავდით ხეებს, ყვავილებს, ვასუფთავებდით... ახლა მსგავსი არაფერი ხდება. მე ადრეც მიმიღია მონაწილეობა ასეთ საქმეში და სიამოვნებით ჩავერთვები ყოველთვის."

**გოჩა ქუთათელაძე,** მძღოლი: „მთავრობის საქმეა მაგი. მაგათ უნდა ითავონ. ჩაატარონ შაბათობა და მე, როგორც შემეძლება, დავუდგები გვერდში, თუნდაც მანქანით."

**ია ჟორჟოლიანი,** დიასახლისი: „ძალიან არასწორი საქციელია, როგორ შეიძლება ნაგვის დაყრა, განსაკუთრებით — ასეთ ადგილებში! ეს ხალხის მისახედია, თუმცა, მთავრობამაც უნდა შეუწყოს ხელი. ერთად უნდა გამოვიდნენ, ერთობლივად მოვაგვაროთ. მაგრამ მთავარი მაინც კულტურაა, რაც არ გააჩნია ამის გამკეთებელს."

**სალომე დუნდუა,** სტუდენტი: „ჩემი აზრით, უნდა გამოიყოს რეინჯერები, ანუ პრობლემურ ადგილებთან დადგებიან შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები — ფორმებით, რა თქმა უნდა, — და გააკონტროლონ გარკვეული ტერიტორია. დაბინძურების ფაქტის შემთხვევაში სიტყვიერი ან ოფიციალურად დაწესებული ჯარიმით აღკვეთონ კანონდარღვევა. ვფიქრობ, მეთვალყურის უბრალოდ დანახვაც საკმარისი იქნება დაბინძურების შესამცირებლად."

**ნანული კინწურაშვილი,** გამყიდველი: „უნდა დაუშალონ ხალხს, რომ არ დაყარონ ნაგავი. ნახეთ, რა დღეშია რიონის ნაპირი! ა, აგერ რამდენჯერ მოვხვეტე დღეს ეს ადგილი და ყველა გამვლელი მაინც აქანე მიყრის ნაგავს. ელემენტარული ზრდილობა არ აქვს ხალხს და რა უნდა მოვკითხოთ!"

**ლელა მარგველაშვილი,** პედაგოგი: „პირველ რიგში, დასუფთავების სამსახურმა უნდა იზრუნოს ამ პრობლემის აღსაკვეთად. მე, პირადად, შაბათობების მომხრე ვარ. სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას."

***

გამოკითხვის პროცესში კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი: აღმოჩნდა, რომ ჯაჭვის ხიდთან მდებარე ავტოსადგურის წინ, ვიწრო ტერიტორიას (დავით და კონსტანტინეს ქ.19ა) დასუფთავების სამსახური არ ალაგებს. იქვე, სადგურის მიმდებარედ, კერძო მაღაზიებიცაა განთავსებული, რომელთა მეპატრონეები და მომუშავე პერსონალი უკმაყოფილებას გამოთქვამენ აღნიშნული ფაქტის გამო:


„P.S."-ფოტო" (ნინო მარაქველიძე) ©

— ვერ გავიგეთ, შვილო, ვის ვეკუთვნით. ვინ უნდა მიხედოს ამ ადგილს? აგერ მეეზოვე ყოველდღე გვის და ალაგებს მთელ ტერიტორიას ირგვლივ, ჩვენ კი ამ პატარა მონაკვეთს გვიტოვებს. თვითონვე გვიწევს ცოცხების დაჭერა და დასუფთავება. მერე ასე დამტვერილებმა რა უნდა გავყიდოთ მთელი დღე?! ადრე, სანამ დასუფთავების სამსახურიდან ბრიგადირი შეიცვლებოდა, არ გვქონდა მსგავსი პრობლემა. ჩვეულებრივად მოდიოდა აქ მეეზოვე და გვილაგებდა. ახლა — ახალი ბრიგადირი არ მაძლევს უფლებასო, მეეზოვე ამბობს," — განაცხადა ჩვენთან საუბრისას მაღაზიის პერსონალმა.

როგორც მათ გვითხრეს, ბანკში იხდიან დასუფთავების გადასახადს, თუმცა — უშედეგოდ. ისინი ითხოვენ გარკვევას, თუ რატომ არ ლაგდება მათი ტერიტორია და ვის უნდა მოსთხოვონ პასუხი, ვის ეკუთვნის აღნიშნული ადგილი. მათ გოჩა ჩირაძეზე მიგვითითეს ვითარების გასარკვევად.

ჩვენ გავესაუბრეთ დასუფთავების სამსახურის ბრიგადირს გოჩა ჩირაძეს, რომელსაც აღნიშნული ტერიტორიის კონტროლი აბარია. ბატონი გოჩა ჟურნალისტების დანახვისას გაცხარდა და გაგვიჭირდა მისი დარწმუნება, რომ არ ვიყავით მასთან ზემოთხსენებული ადამიანების ოფიციალური საჩივრის საფუძველზე მისულები.

„რა იყო, იჩივლენ მაგენმა, ხო?! სულ არ მაინტერესებს, რაცხა უნდა, იგი ქნან. არ მეკუთვნის მე მაგათი ადგილების დალაგება და — ამ მოხუც კაცს ტყვილა ხომ არ ვარბენინებ წინ და უკან? ისედაც იმხელა ადგილი აქვს დასახვეტი. მაგენი არ ვიცი მე, ვის ეკუთვნის, სადგურის ტერიტორიაა და იმათთან გაარკვიონ, რაცხა პრობლემა აქვთ. არ იხდიენ, ალბათ, ფულს. წესით, სადგურმა უნდა გადაიხადოს დასუფთავების ფული, მარა არ აკეთებს, არც ამათ უნდათ გადახდა, ეტყობა, და მაგიტოა, არ ულაგდებათ. მე ასე მაქვს ნაბრძანები და ვასრულებ კიდეც. ის კი არა, ეს რიონის ნაპირები სულ მაგათი დანაგვიანებულია... აგერ მოხვეტავენ, მოაგროვებენ, რაცხა ნაგავი აქვთ, ეზარებათ იქით, ურნამდე წაღება და აგერ, მოკლეზე მოისვრიან ქვემოთ," — განაცხადა **გოჩა ჩირაძემ**. მას გვერდით მჯდომმა ქალბატონმაც აუბა მხარი: „ნეტაი ერთი, მეტი საქმე არ აქვთ?" — მოგვაყოლა ზურგში.

გოჩა ჩირაძემ თავის ზემდგომთან გადაგვამისამართა. დასუფთავების სამსახურის უფროსმა **ლაშა დვალიშვილმა** კი ასე განგვიმარტა: „ისინი ტერიტორიის დასუფთავების თანხას არ იხდიან. ეს არის მათ მიერ წარმოებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მოსაკრებელი. ჩვენ გვაქვს მოგებული ტენდერი, სადაც არის 87 ქუჩის ჩამონათვალი, გზის სავალი ნაწილი და საფეხმავლო ბილიკები, რაც გვევალება, რომ დავასუფთაოთ. აქედან, კერძო პირების ტერიტორიების დალაგება არ გვევალება არც ტენდერის პირობებით და არც კანონით. რაც შეეხება კერძო იურიდიულ პირებს, თვითონ უნდა უზრუნველყონ თავიანთი ტერიტორიების დასუფთავება, ნაგვის განსათავსებელი ადგილის მოძებნა. არსებობს ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, უნდა მოვემსახუროთ ყველა იურიდიულ პირს და გავიტანოთ მათი წარმოქმნილი ნარჩენები. აქ დასუფთავების სამსახური რა შუაშია! მაგას ჰყავს ხელმძღვანელი კერძო პირი და, შესაბამისად, უნდა ჰყავდეს თავისი დამლაგებელიც თუ მეეზოვეც. ჩვენ რა ვუთხრათ იმ ადამიანებს, რომელთაც არ ევალებათ დალაგება და მაინც ვავალებთ? თანხას სხვის მაგივრად ხომ არ გადავუხდით. რაც შეეხება ხსენებულ პირებს, ისინი მხოლოდ და მხოლოდ მოსაკრებელს იხდიან და არ აქვთ გაფორმებული ჩვენთან არანაირი ხელშეკრულება. ჩვენ გვეკუთვნის ტროტუარის დახვეტა, სხვა კი არ არის სახელმწიფოს საქმე."

ლაშა დვალიშვილმა აქვე დასძინა: „თუ უნდათ, რომ მოვემსახუროთ, დადონ ხელშეკრულება ერთჯერადი ხელშეკრულების სახით... ეს ბატონები, ალბათ, არღვევენ კანონებს, მათ კვირაში ერთხელ ერგებათ მომსახურება. იქ არის განთავსებული ნაგვის კონტეინერი, რომელიც ეკუთვნის მოსახლეობას და დამგველს, ესენი კი ყოველდღე ავსებენ ურნებს. ერთი ყუთიც რომ აქვთ, იმასაც კი არ კეცავენ, არ კადრულობენ და გადავსებულია სულ. დღეში, დაახლოებით, ოთხჯერ ვცლით. ალბათ, ამდენი ხანი შეცდომით ლაგდებოდა ის ტერიტორია სამსახურის კარგი მუშაობით, ჩვენი დამგველი უსუფთავებდა ხანდახან — ქარს იმათი ნაგავი ტროტუარზე გამოჰქონდა და ვეუბნებოდი, რომ მოეხვეტა. ამიტომ, არ იყვნენ აქამდე უკმაყოფილოები, მიეჩვივნენ. გააკეთეს ეკონომია, დაითხოვეს დამგველი, ვინც ჰყავდათ და ახლა გაუჩნდათ პრობლემა!"

***

**და მაინც მთავარი პრობლემა — ვინ უნდა უპატრონოს ქალაქის ცენტრში არსებული ხიდების, კონკრეტულად — ჯაჭვის ხიდის მიმდებარე სანაპიროს?**

ქუთაისის მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსმა **ფრიდონ ბეშქენაძემ** „*P.S.*"-თან საუბრისას განაცხადა: „აღნიშნული ტერიტორია არაერთხელ გაწმენდილა ჩვენს მიერ, ახლაც ვგეგმავთ, რომ უახლოეს ორ კვირაში ჩავატაროთ სანიტარული ღონისძიებები მთელი ქუთაისის მასშტაბით. რაც შეეხება ხიდთან მდებარე სანაპიროს დასუფთავების საკითხს, ეს მეც ძალიან მაწუხებს. ვიცი, რომ აუცილებელია მისი გაწმენდა, თუმცა, ძალიან სარისკო პროცესია. თოკით ვუშვებთ ადამიანებს ქვემოთ და არავინ იცის, რა მოხდება, მაგრამ იძულებული ვართ, რომ ეს პროცესი განვახორციელოთ. ვგეგმავთ, შევქმნათ გარკვეული ჯგუფი — თუნდაც 3-5 კაცისგან შემდგარი, რომელიც მუდმივად გააკონტროლებს ამ სივრცეს.

ცხადია, ეს კონტროლი ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ნაპირების გაბინძურება ხდება ხოლმე. როგორც რიონის ყოველი ადიდების დროს, როდესაც მდინარეს შლამები, სხვადასხვა ნივთები მოაქვს და სანაპიროზე ტოვებს, ასევე დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენს საზოგადოებასაც. არ ერიდებიან დაბინძურებას და იქვე მოისვრიან ხოლმე უსარგებლო ნივთებს."

რაც შეეხება გამოკითხულთა მოსაზრებას, რომ დაწესდეს ჯარიმები და, თუნდაც, რეინჯერებმა აკონტროლონ ტერიტორია, ბატონმა ფრიდონმა მათ ასე უპასუხა: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსში არის კანონი, რომლის მიხედვითაც მოქალაქე, რომელიც დაანაგვიანებს გარემოს, დაჯარიმდება. თუმცა, რთულია ამ ადამიანების ფაქტზე დაჭერა. ეს შეუმჩნევლად ხდება, საბოლოოდ შედეგი კი სავალალოა. ძალიან ცუდად იქცევა მოსახლეობა, იქ მყოფი ინდმეწარმეები და ა.შ. ჩვენი მიზანია სანიტარული ღონისძიებების გატარება, მაგრამ ეს ადამიანურ თვითშეგნებაზეცაა დამოკიდებული. ის, რომ ისინი მზად არიან შაბათობებში მონაწილეობისათვის, არაფერს ნიშნავს, რადგან, როცა დავგეგმეთ მსგავსი ღონისძიებები, ჩვენ საზოგადოების აშკარა პასიურობა ვიგრძენით. უახლოეს მომავალში მოეწყობა შაბათობები და აუცილებლად უნდა გავატაროთ აგიტაცია-პროპაგანდა ხალხში. იმედია, ამჯერად მაინც ითანამშრომლებენ ჩვენთან."

***

როგორც ვნახეთ, ჯაჭვის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე გარემო საკმაოდ დაბინძურებულია: „რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის შემოსასვლელი ჭიშკარი" ნამდვილად ვერ მოსჭრის თვალს აზგაწამოკიდებულ უცხოელ ტურისტებს თავის სილამაზით. არც უფრო „შინაურ" სტუმრებს და თავად ქუთაისელებს გაახარებს ეს სიბინძურე და არაესთეტიკურობა.

ოფიციალური სტრუქტურების გამართული მუშაობა, პლუს საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება — ჩვენი აზრით, ეს ერთადერთი გამოსავალია, რომელმაც პრობლემა უნდა გადაჭრას.

**ჟანა ჯანელიძე**
**თამო ბიბიჩაძე**
**ნინო მარაქველიძე**

კოლეჯ „ეტალონის" კორესპონდენტის სპეციალობის სტუდენტები (სპეციალურად გაზეთ „*P.S.*"-სათვის)

---

# ახალი ნაგავსაყრელი, რომელიც მთელ იმერეთს მოემსახურება, 21 მილიონი ევროს ღირებულებისაა

**ნაგავსაყრელი იქნება ის პირველი პროექტი, რომელსაც ახალი მთავრობის პერიოდში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე განახორციელებს. ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა 2014 წელს დაიწყება და მთლიანად იმერეთის რეგიონს მოემსახურება.**

აღნიშნულის შესახებ 28 მაისს მყარი ნარჩენების გადამამუშავებელმა კომპანიამ და გერმანულმა KFW ბანკის წარმომადგენლებმა ქუთაისის ადმინისტრაციული შენობის დარბაზში, საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადეს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ერთი ახალი ნაგავსაყრელი მთლიანად იმერეთის რეგიონს მოემსახურება, იგი ქუთაისის შემოგარენში, თერჯოლის რაიონის სოფელ ჭოგნარში განთავსდება. გარდა ამისა, იმერეთის მასშტაბით ნარჩენების გადასატვირთი სადგური გაკეთდება ქუთაისში, ტყიბულში, სამტრედიასა და ჭიათურაში, საიდანაც მყარი ნარჩენები ცენტრალურ ნაგავსაყრელზე გადაიტვირთება.

საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანია KFW ბანკთან ერთად ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტს განახორციელებს. მყარი ნარჩენების კომპანიამ და KFW-მ ასევე წარმოადგინეს საკუთარი გეგმა, თუ როგორ აპირებენ ქუთაისში არსებული ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარებას ახალი, თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელის მშენებლობის დასრულებამდე.

„გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, KFW და მყარი ნარჩენების კომპანია ქუთაისში არსებული მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტს განახორციელებენ. ეს საბოლოოდ გადაჭრის ქუთაისის ნაგავსაყრელის მრავალწლიან პრობლემას. დღეს სწორედ პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები წარვუდგინეთ სამინისტროს წარმომადგენლებს. შემდგომ ამ გატარებულ სამუშაოებს დასამტკიცებლად გადავუგზავნით გერმანულ მხარეს, დამტკიცების შემდეგ მომზადდება ფინანსური მხარე და ხელი მოეწერება ხელშეკრულებებს. ეს პროცესი წლის ბოლოსათვის დასრულდება, მომავალი წლიდან კი ნაგავსაყრელის ასამუშავებლად აქტიურ სამუშაოებს დავიწყებთ," — განაცხადა KFW ბანკის წარმომადგენელმა **არნე გოსმა.**

რაც შეეხება ქუთაისში არსებულ ნაგავსაყრელს, პროექტის ფარგლებში ე.წ. ნიკეას ნაგავსაყრელის კონსერვაცია და რეკრეაციულ ზონად მისი გადაქცევა იგეგმება.

ამ ეტაპზე ნიკეაზე არსებული ნაგავსაყრელი ქუთაისის მერიის მიერ დაფუძნებული შპს „მწვანე ქალაქის" დაქვემდებარებაში იმყოფება. „მწვანე ქალაქს" კი კერძო პირების მიმართ 300 000 ლარიანი დავალიანება აქვს, რის გამოც ნაგავსაყრელის ტერიტორია დაყადაღებულია.

ნიკეას ნაგავსაყრელი საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიას მას შემდეგ გადაეცემა, რაც „მწვანე ქალაქი" არსებულ დავალიანებას დაფარავს.

**გიორგი შუხოშვილი,** საქართველოს მყარი ნარჩენების კომპანიის დირექტორი: „პროექტის ფარგლებში გაწეული სამუშაოების შესახებ რეგიონული განვითარების მინისტრს წარვუდგინეთ ანგარიში. ეს არის კონცეფცია, რომელზეც გაკეთდა ეკონომიკური შეფასება. ახალი რეგიონალური ნაგავსაყრელის მშენებლობასთან ერთად, მოხდება ძველი ნაგავსაყრელის დახურვითი სამუშაოები, ნიკეას ნაგავსაყრელი ახლის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე დაიხურება. იქ განთავსდება სეპარაციის საწარმო, რომლითაც მეორადი ნედლეულის გამოყოფა და სეპარაცია მოხდება. შემდგომ ძველი ნაგავსაყრელის დახურვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოხდება, რისთვისაც სხვადასხვა სამუშაო არის გათვალისწინებული. მოხდება გამბიონის მშენებლობა.

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

# ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ბავშვები ქუჩაში შეხვდნენ

## სახელმწიფო მოზარდებზე სრულყოფილ ზრუნვას ვერ ახერხებს

**1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება და ამ დღეს საქართველოც სხვადასხვა ღონისძიებებით შეუერთდა, თუმცა, როგორც ხშირად ხდება, ამ ღონისძიებებში იშვიათად ხვდებიან ეთნიკური უმცირესობის პატარები და სახელმწიფოს მხრიდან მზრუნველობამოკლებული ბავშვები. არსებული კანონმდებლობით კი ყველა ბავშვი თანასწორია და სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს სოციალურად დაუცველ, ეთნიკური უმცირესობის თუ შემწეობამოკლებულ პატარებზე, რათა მათ სრულყოფილ მოქალაქეებად იგრძნონ თავი.**



„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

საზოგადოების დიდი ნაწილისათვის რთული აღმოჩნდა არსებული სტიგმების და სტერეოტიპების დაძლევა. მათთვის ქუჩაში მყოფი ადამიანები მხოლოდ გარკვეულ ჯგუფად დარჩა, რომელიც მუდამ სხვისი შემწეობის იმედადაა და რომლიდანაც თავი შორს უნდა დაიჭირო.

„ციგნები“, ბოშები, მაწანწალები — ამგვარად მოიხსენიებს საზოგადოება ეთნიკური უმცირესობის იმ ნაწილს, რომელიც მძიმე სოციალური მდგომარეობის თუ ჩვეულების გამო სიცივესა და სიცხეში, მოწყალების იმედად, ქუჩაში ხელგაშვერილი დგას. ხშირად საზოგადოება ზედმეტად მკაცრია მათ მიმართ, რაც ხდება მიზეზი იმისა, რომ ასეთ ადამიანებს უჭირთ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარება და ზოგჯერ თავდაცვა მათი მხრიდან აგრესიაში გადადის ხოლმე.

რამდენი სოციალურად დაუცველი მცირეწლოვანი ცხოვრობს საქართველოში და კონკრეტულად — ქუთაისში, ზუსტი მონაცემები არ არსებობს.

ბავშვების მდგომარეობის შესწავლას და გარკვეული კუთხით მათი საარსებო გარემოს შეცვლას რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია სხვადასხვა პროექტით შეეცადა, თუმცა ამით მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა.

საზოგადოებაში ადაპტირებისათვის „საია“-ს ქუთაისის ორგანიზაციამ ე.წ. „ქუჩის ბავშვებისათვის“ სოციალური პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებშიც მოეწყო გამოფენა სახელწოდებით „ერთი ჩვეულებრივი დღე ქუჩაში.“ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფოტოები, რომლებიც ეთნიკური უმცირესობის ყოფას ასახავდა, როგორც ქუჩაში, ასევე სახლში.

**გიორგი სანტურიანი,** „საია“-ს იურისტი: „ჩვენი პროექტის მიზანი იყო, დაგვედგინა ზუსტი მონაცემები, თუ რამდენი ბავშვი იმყოფება ქუჩაში და მათთვის უფასო იურიდიული დახმარება გაგვეწია. ძველი მონაცემებით, დაახლოებით, 2000 სოციალურად დაუცველი ბავშვი ცხოვრობს ქუთაისში, სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემები არ არსებობს. ჩვენი პროექტი მოიცავდა როგორც ქუჩაში მყოფი ბავშვების სოციალური მდგომარეობის გამოკვეთას, ასევე, მათთვის უფასო იურიდიული დახმარების აღმოჩენას. მასში აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობა და სამხარეო ადმინისტრაცია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პროექტის დასაწყისში წავაწყდით აგრესიას და გაუცხოებას მათთგან, რისი ერთ-ერთი მიზეზიც, მოსახლეობის არასწორ დამოკიდებულებასთან ერთად, ქართული ენის არცოდნა იყო. ფაქტობრივად, ისინი ვერ ურთიერთობენ საზოგადოებასთან, ამიტომ აქცენტი მათთვის განათლების მიცემის კუთხით გავაკეთეთ; სოციალურად დაუცველი და ქუჩაში მყოფი სტატუსის მქონე ბავშვების ნაწილი ჩავრთეთ საკვირაო სკოლაში, ასევე ავანგარდის დასახლების ე.წ. ბოშათა ბანაკში მოვაწყვეთ გასვლითი ტური. დაახლოებით, 23 ბავშვს ოთხი თვის განმავლობაში ადამიანის უფლებებზე ვაწვდიდით სრულ ინფორმაციას და ვუტარებდით ქართული ენის გაკვეთილებს. შედეგი მართლაც თვალშისაცემი იყო. ჯერ ერთი, რომ მოგვარდა კომუნიკაციის პრობლემა მათსა და საზოგადოებას შორის, მეორეც, რამდენიმე ბავშვმა სკოლაში დაიწყო სიარული.

რაც შეეხება იურიდიულ დახმარებას, ძირითადად, მათი იდენტიფიცირების პრობლემის მოგვარებას ეხებოდა. სამწუხაროდ, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ გააჩნიათ დაბადების და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები. რის გამოც სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში მათი შეყვანა ვერ ხდება. საბუთების არქონის გამო, ასეთი ოჯახები ვერ ხვდებიან სოციალურად დაუცველთა სიაში, რადგან, არსებული კანონმდებლობით, თუკი ოჯახის ერთი წევრის იდენტიფიცირებაც ვერ ხდება, ასეთი ოჯახი ვერ იღებს სოციალურ დახმარებას. თუმცა, ეს ადამიანები და მათი პატარები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ, მაგალითად, რიონისპირა დასახლება, ჭავჭავაძის ხიდთან მცხოვრები ქურთების მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, ისინი, ამ დროში, კარვის ტიპის სახლებში ცხოვრობენ, არაა მოწესრიგებული გზები და კანალიზაციის სისტემა. სწორედ ესენი გვხვდებიან ქუჩებში, საზოგადოებიდან წამოსული დამოკიდებულების გამო, მის მიმართ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიან. ჩვენი პროექტის ფარგლებში იურიდიული დახმარება აღმოვუჩინეთ 13 ბავშვს. 1995 წლის მიღებულ საერთაშორისო კონვენციით, რომელიც რატიფიცირებული და ხელმოწერილია ჩვენი ქვეყნის მიერ, ბავშვის ყველა უფლებაა ასახული, დაწყებული განათლებით, დასრულებული ჯანდაცვით და შესაბამის პირობებში აღზრდის ვალდებულებით. თუმცა, არსებული მონაცემებით, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა.“

სოციალურად დაუცველ და „ქუჩის ბავშვებზე“ ზრუნავენ სოციალური მომსახურების სააგენტოები. სწორედ მათი მოვალეობაა შემწეობამოკლებული ბავშვები მონაცემთა ბაზაში შეიყვანონ და სახელმწიფოს მხრიდან არსებული პრიორიტეტებით უზრუნველყონ. როგორი სტატუსის მქონე ბავშვები სარგებლობენ სოციალური დახმარებით და რამდენი ბავშვი სარგებლობს ქუთაისში ამ დახმარებით, ამის შესახებ ინფორმაციის მიღებას, ქუთაისის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსთან შევეცადეთ.

**ხათუნა ცანავა,** ქუთაისის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსი: „ბოლო წლებია სახელმწიფომ პრიორიტეტად აღიარა ბავშვების უფლებები, რომ ხელი შეუწყოს მათ ბიოლოგიურ პირობებში აღზრდის საკითხს. როცა ბავშვთა სახლები გაუქმდა, შემოვიდა მცირე ტიპის საოჯახო სახლები, რომელთაც სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

2009 წლიდან სოციალური მომსახურების სააგენტო ქვეყანაში წარმოდგენილია, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის სახელმწიფო ორგანო. აქედან გამომდინარე, მეურვეობასა და მზრუნველობაზე ზედამხედველობის გარდა, სოციალურ სააგენტოს შეთავსებული აქვს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვის განხორციელების ფუნქცია.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

# ახალი ნაგავსაყრელი, რომელიც მთელ იმერეთს მოემსახურება, 21 მილიონი ევროს ღირებულებისაა

**მე-3** გვერდიდან

მოგეხსენებათ, ნაგავსაყრელზე გადის სარწყავი არხი, ვგეგმავთ მის გარეთ გამოტანას, ზემოდან, ნარჩენებზე სპეციალური გეო-ტექსტილის გრუნტის გადაფარვას, შემდეგ ნოყიერი მიწით შევსებას. მყარი ნარჩენების კომპანია არსებული ვადების განმავლობაში გააგრძელებს არსებული ნაგავსაყრელის ექპლუატაციას, რის ფარგლებშიც მოხდება საექსპლუატაციო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება. რამდენადაც ცნობილია, ამ დროისათვის ნიკეას ნაგავსაყრელი ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაარსებული შპს „მწვანე ქალაქის“ დაქვემდებარებაშია, ამიტომ მიმდინარეობს მოლაპარაკება ადგილობრივ თვითმმართველობასთან, რათა მოხდეს არსებული დავალიანების დაფარვა. ამის შემდეგ დაიწყება ხსენებული პროექტის განხორციელება.“

პროექტის მიხედვით, ნაგავსაყრელი დასახლებული პუნქტიდან 1,5 კილომეტრით იქნება დაშორებული, რაც საერთაშორისო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს. გარდა ამისა, დაგეგმილია მწვანე საფარის მოწყობაც, რაც დამატებით უსაფრთხო გარემოს შეუქმნის ადგილობრივ მოსახლეობას.

რაც შეეხება ვადებს, პროექტის ფარგლებში 2014 წლიდან დაგეგმილია ძველი — ე.წ. ნიკეას ნაგავსაყრელის კონსერვაცია და მის ადგილას რეკრეაციული ზონის მოწყობა, 2015 წლის ბოლოსათვის კი ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელი დაიწყებს ფუნქციონირებას.

„ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რადგან, ფაქტობრივად, ეს არის პირველი პროექტი, რომელიც ხორციელდება ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებით. მსგავსი საკითხების მოგვარება, ჯერჯერობით, სხვა რეგიონებში არ დაწყებულა, სწორედ იმერეთი იქნება საპილოტე ტერიტორია. გერმანიის განვითარების ბანკმა გამოყო თანხა, რომლის ფარგლებშიც დადგენილია ის ვადები, რა დროშიც უნდა მოხდეს ახალი ნაგავსაყრელის ამუშავება. ვიდრე ახალი ნაგავსაყრელი ექსპლუატაციაში არ ჩაეშვება, იქამდე, მყარი ნარჩენების კომპანია ნიკეას ნაგავსაყრელზე მოახდენს კონტროლს, რაც გულისხმობს მის შემოღობვას, თვალთვალის დაწესებას, ნარჩენების შეტანას და იმ სამუშაოების გატარებას, რაც ნაგავსაყრელზე არსებულ მდგომარეობას მეტ-ნაკლებად მოაწესრიგებს. 2015 წლიდან კი ძველი ნაგავსაყრელი დაიხურება საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად,“ — აღნიშნა რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **დავით ნარმანიამ.**

საქართველოს მთავრობამ უკვე დაასრულა მოლაპარაკებები გერმანიის მხარესთან, KFW ბანკი ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობისა და ნიკეას ნაგავსაყრელის დახურვის სამუშაოებისათვის 21 მილიონი ევროს გამოყოფას გეგმავს.

შეხვედრაზე მერიის სხდომათა დარბაზში ასევე მიწვეულნი იყვნენ იმერეთის მხარეში არსებული მუნიციპალიტეტებისა და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მათი განცხადებით, ნაგავსაყრელი ქუთაისის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს, რომლის მოგვარებაც, ერთის მხრივ, მოაწესრიგებს მყარი ნარჩენების პრობლემას ქალაქში, მეორეს მხრივ კი ნიკეასა და ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებს ანტისანიტარიის კერას მოაშორებს.

### ნიკეის ნაგავსაყრელის მარადიული პრობლემა

ნიკეას ნაგავსაყრელის საკითხი რამდენჯერმე დადგა დღის წესრიგში. ბოლო პერიოდში პრობლემის მოგვარების ყველაზე რეალური შანსი 2010 წელს გაჩნდა, მაშინ, როცა ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობასა და იტალიურ ფირმა „რაფონს სერვისს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა. იტალიურ კომპანიას, რომელმაც 2009 წელს ნაგავსაყრელის 100%-იანი წილი 3 მილიონ ევროდ შეისყიდა, ღია ტიპის ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა. ინვესტორის სახით შემოსული კომპანიის გეგმებით დაიმედებული ქუთაისელი ჩინოვნიკები პირობას დებდნენ, რომ იტალიელების მიერ აშენებული, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო დღის წესრიგიდან საბოლოოდ მოხსნიდა ქუთაისის „მარადმწვანე“ პრობლემას. ეს ის დრო იყო, როცა მიხეილ სააკაშვილმა ქალაქის ყოფილ მერს ნუგზარ შამუგიას დაბინძურებული ქალაქის გამო ტელეკამერების წინ უსაყვედურა, რასაც მალევე მერის თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვა. „ნაგავს“ გადაყოლილი შამუგია კი კარგი მოტივაცია გახდა ქუთაისის ახალი ხელისუფლებისთვის „სისუფთავით მეორე ქალაქის“ შენების საქმეში. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას „რაფონს სერვისი“ მალევე შეუდგა, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ, გაურკვეველი მიზეზების გამო, იტალიურმა კომპანიამ სამუშაოების შესრულებაზე უარი განაცხადა. ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხელშეკრულება გაწყვიტა და ნიკეას ნაგავსაყრელის უსაფრთხო ზონად გადაქცევის შანსი ხელიდან გაუშვა. ბოლო წლების მანძილზე ერთადერთი, რაც მოხერხდა, არის ნაგავსაყრელის ტერიტორიის შემოღობვა ბეტონის ფილებით. რაც, მოსახლეობის თქმით, უსაფრთხოების დაცვის არანაირ გარანტიას არ იძლევა.

ნიკეას ნაგავსაყრელის ბედით არაერთხელ დაინტერესდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. პრობლემის სიმწვავის წარმოსაჩენად ნაგავსაყრელზე არსებული ვითარების აღწერითი შინაარსის არაერთი წერილი გაეგზავნა გაეროს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სააგენტოს. 2005 წელს ადგილობრივ თვითმმართველობაში უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით 20 წლიანი სამოქმედო გეგმაც კი შეიმუშავეს, სადაც ნიკეას ნაგავსაყრელის „გაუვნებელყოფა“ საკვანძო საკითხი იყო. გეგმა არ შესრულდა და ნაგავსაყრელი კვლავ ნელი მოქმედების საწამლავად დარჩა.

### ახალი ნაგავსაყრელი ისევ უკმაყოფილების მიზეზი ხდება

ახალმა პროექტმა, რომლითაც ნიკეას ნაგავსაყრელის მრავალწლიანი პრობლემა შესაძლოა, მოაგვაროს, უკვე გამოიწვია სოფელ ჭოგნარის მცხოვრებლების უკმაყოფილება. მათი განცხადებით, ისინი არ დაუშვებენ ნაგავსაყრელის მათ სიახლოვეს განთავსებას, რადგან ეს, ეკოლოგიურ საფრთხესთან ერთად, ადგილობრივებს საძოვრების დაკარგვის საფრთხეს უქმნის.

მოსახლეობის უკმაყოფილებას უმალვე გამოეხმაურა რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. როგორც მათ განცხადებაშია ნათქვამი, ნაგავსაყრელი ყველაზე ახლო დასახლებული პუნქტიდან მინიმუმ 1,7კმ-ით იქნება დაშორებული, ასევე ნაგავსაყრელი არანაირ ეკოლოგიურ კატასტროფას არ გამოიწვევს. რაც შეეხება საძოვრების შესაძლო დაკარგვას, ახალი ნაგავსაყრელისათვის, ძირითადად, ის ტერიტორია შეირჩა, რაც ბუჩქებით არის დაფარული და რასაც მოსახლეობა პირუტყვისათვის საძოვრებად არ იყენებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტატიის დასაწყისში მოყვანილი ინფორმაციის გარდა, ამ დრომდე არ ვრცელდება ინფორმაცია ახალი ნაგავსაყრელის პროექტთან დაკავშირებით — როგორი სახის იქნება ის: ღია თუ დახურული ტიპის და გამოყოფილი კოლოსალური თანხით იგეგმება თუ არა მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა. ვინაიდან, თუკი ნაგავსაყრელი კვლავ ღია ტიპის დარჩება და ნარჩენების გადამუშავება არ მოხდება, ის იმავე ეკოლოგიურ პრობლემას შეუქმნის იმერეთს (მით უმეტეს, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ნაგავსაყრელი რაჭა-ლეჩხუმსაც მოემსახურება), რაც წლების განმავლობაში არსებობდა ნიკეას ნაგავსაყრელთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ქუთაისელებისათვის არანაირი მნიშვნელობა არ ექნება, ნაგვის ნამწვავს ქარი ქალაქის შემოსასვლელიდან შემოუბერავს, თუ ქალაქის ბოლოდან. პრობლემა კვლავ პრობლემად დარჩება.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

# „იწყებენ ყავის სმით და ამთავრებენ ბოზობით“

## ქიათურელი ქალბატონის გზავნილი ხელისუფლებას

**ქალაქ ჭიათურაში ხშირად ჩავდივარ. ვცდილობ, რომ უმწეოთა სასადილოში წუთებით მაინც შევიარო, ბენეფიციარები გულით მოვიკითხო და შევეკითხო: სასადილოს მესვეური ხომ არაფერს გაკლებთ?!**

ისე, თუ არ შევივლი უმწეოებთან, რომელიმე მათგანი გზაში მაინც შემეჩეხება (რომელი დიდია ჭიათურა!) და თავად მომიკითხავს: „შენ ჩვენი ბიჭი არ ხარ?“ ბიჭის დაძახებისას, 40 წელს მიტანებულს, გულში მწარედ მკბენს ბიჭობა-ჭაბუკობის გახსენება, მერე ნაძალადევად გავუღიმებ და ვეტყვი: „კი, თქვენი ვარ...“ მერე ისიც მახსენდება, საფეთქლები გათეთრებული რომ მაქვს, თუმცა რახან ამათთვის ბიჭი ვარ, გულს ვიმშვიდებ — ალბათ, დრო ჩემთვის შედარებით ნელა მიდის-მეთქი.

ამასწინათ, რამდენიმე მოხუცმა წრე შემომარტყა და მითხრა: ჩვენ სამადლობელი წერილი დავწერეთ და აუცილებლად უნდა გამოაქვეყნო შეუცვლელადო (ისინი „კარის ჟურნალისტად“ მცნობენ, რადგან რამდენჯერმე დავინტერესდი მათი მდგომარეობით). დავპირდი, რომ ვნახავდი. აი, ეს მათი სიტყვებია:

**„სიმდიდრე ფუფუნება არ არის. მდიდარია ადამიანი, რომელსაც შეუძლია შეჭირვებულის დახმარება, მოყვასის გვერდში დგომა, კაცთმოყვარეობა და მადლის უშურველად გაცემა. ყველაზე მეტად ყურადღება და დახმარება სჭირდება უმწეო ადამიანს, მოხუცს, რომელიც სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლის და სამარეს ელოდება. მადლობა უფალს, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ იშურებენ სიკეთესა და სითბოს. ასეთების რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი ქალაქის მკვიდრი, ერუდირებული ქალბატონი ზინა გველესიანი და მამამისი, ბატონი კუკური. ისინი ყოველ დღესასწაულზე მოდიან და გვიმასპინძლდებიან. ყველანი მადლობას ვუხდით მათ და ღმერთმა ამრავლოს მათნაირები ჩვენს ქალაქშიც და საქართველოშიც.“**

ამ სასადილოში, შარშანდელთან შედარებით, წელს 10 ადამიანით მეტი დამხვდა უმწეოთა სიაში. 110 ადამიანის ულუფა მზადდება ყოველდღე და 110 წყვილი თვალი სიხარულჩამქრალი უყურებს მომავალს. ერთი ქალბატონი მეუცხოვა, ის აქამდე ბენეფიციართა შორის არ მინახავს.

**იზოლდა ქურცაძე** სასიამოვნო მოსაუბრეც აღმოჩნდა და ზედმიწევნით კრიტიკულიც. ჩვეულებრივი დიალოგი ინტერვიუს ფორმატში გადავიდა და აქვე გთავაზობთ (მინდა აქვე დავძინო — ლეპტოპი და არასამთავრობო ორგანიზაცია რომ ჰქონოდა ქალბატონ იზოლდას, ნამდვილად მიიკუთვნებდა ექსპერტის წოდებას).



„P.S. ფოტო“ (როლანდ ხოჯანაშვილი) ©

იზოლდა ქურცაძე

— ჭიათურის №1 სკოლა წარმატებით დავამთავრე, მერე მაღაროში დავიწყე მუშაობა რიგით მაღაროელად, სულ ბოლოს კი მაღაროს ლაბორატორიის გამგეც გავხდი. სამთოელობასთან ერთად ვახერხებდი, რომ დასვენების დღეს (ორშაბათს) ქალაქის პირველსა და მეექვსე სკოლებში ხაზვის მასწავლებლად მემუშავა. ბოლო პერიოდში, ხაზვა რად გვინდა, სექსი უნდა ვასწავლოთო და სკოლიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გამომიშვეს სრულიად დაუფასებლად. სექსის მასწავლებლად მე ვერ ვივარგებდი, მაგის ნიჭი რომ დამყოლოდა, გაუთხოვარი არ დავბერდებოდი...

**— ქალბატონო იზოლდა, რახან განათლებაზე დაიწყეთ საუბარი, რა აზრის ხართ განათლების სისტემაზე?!**

— მარგველაშვილი განათლებული კაცია, მინდა შევხვდე, როგორც განათლების მინისტრსა და ვიცე-პრემიერს. მინდა ვკითხო, რად უნდა სკოლას პოლიცია-მანდატური, — რას აკეთებს სკოლაში ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალი? ადრე თუ ვახერხებდით გაკვეთილის ჩატარებას მათ გარეშე, ახლა რატომ ვერ ხერხდება? რომ ამბობენ, წიგნის უფასოდ გადაცემა საბჭოთა კავშირში დაბრუნებააო, ჩემი გამოცდილებით გეტყვით: საფრანგეთში მომიწია ერთი პერიოდით ცხოვრებამ. ნათესავების შვილებს ვასწავლიდი ქართულს და მეექვსე კლასამდე ყველა ბავშვს წიგნი უფასოდ ეძლეოდა. ისინიც საბჭოურ ეპოქაში ცხოვრობდნენ?! ჩაცმასაც უნდა მიექცეს ყურადღება. მოსწავლისა და მასწავლებლის ჩაცმულობა მისახედია. მოსწავლეებზე რომ ლაპარაკობენ, როგორ აცვიათო, ის მოსაწონია, რომ მასწავლებელს ზემოდანაც დამოკლებული აქვს ტანსაცმელი და ქვემოდანაც? იყოს გულამოღებული კაბა, ბატონო, მაგრამ მე-12 კლასელები დიდი და საცოლო ვაჟები არიან და კი უნდა მიხვდეს მასწავლებელი, რომ მასწავლებლის მოღიაღებული მკერდის შემყურე, მოსწავლე ვერაფერს ისწავლის.

**— როგორც ჩანს, „ბიძინას ხელისუფლება“ მოგწონთ...**

— ეს კაცი მეიმედება, მაგრამ თუ არ შეცვალა რადიკალურად რამე, „ნაციონალებმა“ 9 წელი გაძლეს, ეგ ვერ გაძლებს 9 თვეს. ხალხს აღარ შეუძლია ამდენის მოთმენა.

**— მაინც, რა არ მოგწონთ ახლა?!**

— ბევრი რამეა შესაცვლელი. სოფელში ჩემს მშობლებს ჰქონდათ მიწის ნაკვეთები და, მე რომ ეს მიწა გავიფორმო, თითო ნაკვეთისათვის 300 ლარი უნდა გადავიხადო. 4 ათასი კვადრატული მეტრი მიწა მაქვს და რამდენიმე ნაჭრად არის გაბნეული. სად მაქვს ახლა მე მაგდენი 300 ლარი? გასაგებია, რომ ქართველებიც ბევრია საზღვარგარეთ და ემიგრანტებს სჭირდებათ დაფასება, მაგრამ ჩინელზე უფრო ადვილად უნდა ვიმტკიცებდე ჩემს ქონებას? ახლა, ჩვენს ქალაქში თუ გაივლი, ნახავ, რომ ცენტრში ჩინელებს აქვთ მაღაზია გახსნილი და მამა ჩინელს გიორგი წერეთელი დაურქმევია, ხოლო ახალშობილი მარიამის სახელს ატარებსო... იქნებ დაელაპარაკო და გაიგო, მართლა წერეთლების გვარს ატარებენ ეს ჩინელები?! მიწის დახვნა რომ დაგვიანდა, ამაზე ლაპარაკი აღარაა საჭირო. გაზაფხულზე კი არა, შემოდგომაზე უნდა დახნულიყო, ახლა დათესილი სიმინდი ამოვა თუ არა, ღმერთმა უწყის. ტრაქტორებიც არასაკმარისი იყო და დაგვიანდა ამიტომ. სასაყვედუროდ არ გვაქვს საქმე მაინცდამაინც, ამდენი შემწეობა გლეხს, არ მახსოვს, მიეღოს, მაგრამ რახან აკეთებ, დალოცვილო, ბარემ დროზე გააკეთე! ახლა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბება დაიწყო და ყოფილი „ნაციონალები“ გუნდგუნდად ეტმასნებიან „ქართულ ოცნებას“, არადა, ეგენი არ იყვნენ, ბიძინას წყევლის მეტს რომ არაფერს აკეთებდნენ? მე რომ ივანიშვილი ვიყო, მაგ გამყალბებლებს საარჩევნო კომისიებს არც გავაკარებდი. ცალკე სალაპარაკო თემაა მაღაროები კიდევ!

**— ვიცი, რომ ჯერ ვერავინ გაარკვია მაღაროების საქმე. „ჭიათურმანგანუმი“ „ჯორჯიანმანგანეზად“ გადაკეთდა და ისეთი რამეებიც მოხდა, რომ ნამდვილად არ იქნებით კმაყოფილი...**

— ცხოვრებაში არ დამიწერია საჩივარი, მაგრამ ორი რამე არ მინდა ვაპატიო „ჯორჯიანმანგანეზის“ ხალხს. ვიყავი „ჭიათურმანგანუმის“ აქციონერი, მქონდა 500 აქცია და მათხოვრულ 7 ლარად არ გავყიდე. ახლა სადღაა ამ აქციების ძალა? კარგი, ჯანდაბას, არაფერს ვამბობ, თუნდაც, 500 აქციაზე, მაგრამ სად წავიდა „ჭიათურმანგანუმის“ ლაბორატორიების კუთვნილი, დაახლოებით, 2 კილოგრამი პლატინა?! ავტომატიანი ხალხი რომ მორბოდა და მიჰქონდა მარგანეცი აქიდან, მაშინ არ ვეპუებოდი გაყაჩაღებულ იარაღიანებს და მაინტერესებს, სად წავიდა პლატინა?! ეგ ხომ რკინის ჯართი არაა და ფასიც დიდი ადევს! პოლიციაც გასაწმენდია და ჭიათურის ტრესტიც. კი მაგრამ, ერთი მაღაროს მუშებისოდენა ხელფასი რომ ერთ კაცს აქვს დანიშნული, ეს სადაური სამართალია?! კომუნისტების დროს მაღაროს ხელმძღვანელებზე მეტი მუშებს ჰქონდათ ხელფასი. ახლა თანამედროვე ჯიპები — ადმინისტრაციას, მუშას — სიკვდილის საფრთხის ქვეშ მუშაობა!

„ტრესტში“ პროფესიონალები და სპეციალისტები აღარ არიან. ადრეც ასე იყო და ახლაც ასეა: იწყებენ მუშაობას ყავის სმით და აგრძელებენ ბოზობით. ხელოვნურად გააკოტრეს ქალაქი, რომელიც ოქროს ხიდებით უნდა დამშვენებულიყო, იმდენი სიმდიდრე გაიზიდა აქიდან! კაკო გურჯიძეს რომ ჩამოჰკიდა პატრიარქმა წმინდა გიორგის მედალი, ყველამ სახე ვიბრუნეთ გვერდზე! მაგრამ ამბობენ, სწორედ წმინდა გიორგი მიხედავს ჭიათურაში ყველაფერს! ისე, როგორ მოგწონთ, ეკლესიას რომ აშენებენ აქ და მაღაროელებს დაუკითხავად რომ აჭრიან ფულს?! იქნებ მუშას ბევრად მეტი უნდა, რომ გადარიცხოს და ნებას რატომ არ გამოაჩენინებენ?! ისე, რატომ არავინ მიხედავს ჭიათურის მანგანუმის საკითხს? თუმცა, რომ დაიჭირონ და 20 ათასიანი გირაოთი გამოუშვან გარეთ, ეგ რა სამართალია? ახლა რომ კაკანებენ, მერაბიშვილი არ უნდა დაეკავებინათო, უფრო ადრე რატომ არ დააკავეს, ეს მაინტერესებს! უზენაესი სასამართლოს მსაჯული ვიყავი 12 წელი და ვიცი, რასაც ვამბობ. ცენტრალურმა ხელისუფლებამ თბილისის იქითაც უნდა გაიხედოს, რა ხდება! დაპირებით ადრეც ბევრს გვპირდებოდა მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ რა გააკეთა?! ისე, როცა მას ჭიათურაში შევხვდი და დასაქმება ვთხოვე, დამპირდა და დაავალა ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ არაფერიც არ გაუკეთებიათ! 6 წელი მატყუებდა მამუკა გოგატიშვილი, ჩვენი დეპუტატი, რომ დამასაქმებდა! ახლა ამდენი ნაწვალები და ნაშრომი, დათრგუნული მოვდივარ აქ უფასო სადილისთვის! მიხედოს ხელისუფლებამ ყველა რეგიონს, თორემ ხალხს ვეღარ შეაჩერებენ. ვანოს დაჭერა რომ მოეწონათ, თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ კაცის ციხეში გაშვება მოეწონათ? არა! სამართალი და კანონი ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს. ეს დაინახა ხალხმა და ეს გაუხარდა.

**— ადგილობრივ ხელისუფლებაზე რას იტყოდით?**

— აქ ახალი ხელისუფლება ახალგაზრდულია ძალიან, ალბათ, ექნებათ შეცდომებიც. ვაფრთხილებ მათაც: ყავის სმით იწყებდნენ ბევრი და ბოზობით ასრულებდნენ კარიერას. ასე არ ქნას ახალმა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც. მე მაინც ბიძინას მოიმედე ვარ...

**როლანდ ხოჯანაშვილი**

# საქართველოს უსინათლოთა კავშირის წევრები სახელმწიფოს მხრიდან თანადგომას ითხოვენ

## „შეზღუდული შესაძლებლობების არ არსებობს“




„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

**საქართველოს უსინათლოთა კავშირის წევრები სახელმწიფოში მათი უფლებების გაზრდის მოთხოვნით მშვიდობიან საპროტესტო აქციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში მართავენ. აქციის ლოზუნგია: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები — ადამიანთა უფლებების დაცვის პროცესში“. მათი შეკრების მიზანიც სწორედ შშმ.პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია და სახელმწიფოს და კონკრეტულად რაიონების ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მათი პრობლემებით დაინტერესებაა.**

სწორედ ამიტომ 31 მაისს მორიგი მშვიდობიანი აქცია საქართველოს უსინათლოთა კავშირის წევრებმა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გამართეს.

აქციის მონაწილეების სურვილია, ის პრობლემები, რაც მათ აქვთ, ეტაპობრივად მოგვარდეს საკანონმდებლო დონეზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მეტი რაოდენობით იყვნენ ჩართული სახელმწიფოში მიმდინარე სხვადასხვა პროცესში.

**თამაზ მუქერია,** საქართველოს უსინათლოთა კავშირის ბიზნეს და სოციალური სამსახურის უფროსი, აქციის მენეჯერი: „ჩვენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ, მოგეხსენებათ საზოგადოებაში ჩვენი ინტეგრაციის კუთხით, რაღაც ნაბიჯები გადაიდგა, რასაც მივესალმებით, მაგრამ გვინდა, რომ რაიონებში, სადაც ჩვენს პრობლემებს ნაკლები ყურადღება ექცევა, სწორედ გამგებლებს და მერიის ხელმძღვანელებს მივაწვდინოთ ჩვენი ხმა და ის ძირითადი პრობლემები, როგორებიცაა: განათლება,პროფესიის მიღება, ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების შესწავლაში თანადაფინანსება და, რაც მთავარია, დასაქმების პრობლემა. ყველა სამსახურში იქნება უსინათლოებისათვის ადგილი, თუკი შესაბამისი სამსახურების მხრიდან იქნება მონდომება. დღეისათვის სახელმწიფო სექტორში მხოლოდ 150 უსინათლოა დასაქმებული, რასაც ეს ადამიანები მტკივნეულად განიცდიან. მინდა ვთქვა, რომ ეს არამარტო ჩვენი, არამედ, ზოგადად, ქვეყნის პრობლემაა. გვინდა,რომ შევქმნათ საჯარო დოკუმენტი, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა ჩვენი პრობლემა და მოთხოვნა. ასევე ჩვენი კავშირის ყველა ბენეფიციარის ინფორმირებისათვის ჩავატარებთ ტრეინინგებს.“

**ზაზა ლომიძე,** საქართველოს უსინათლოთა კავშირის ზესტაფონის ფილიალის თავმჯდომარე: „ჩვენი აქცია არის იმ პროექტის ნაწილი, რაც ითვალისწინებს შშმ პირების უფლებების დაცვას. მათი პრობლემების მოგვარებას. გვინდა, აქციით ადგილობრივ ხელმძღვანელობებთან ერთად ჩვენი წვლილი შევიტანოთ არსებული პრობლემების მოგვარებაში. ჩვენთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია ყოველი მხარდაჭერა და თანადგომა.“

**ნანა ბრეგვაძე,** უსინათლოთა კავშირის სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი: „ეს პროექტი ევროკავშირის მიერაა დაფინანსებული და მხარდაჭერილი. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, ჩვენ ვცდილობთ, მეტი ყურადღება მივიქციოთ სახელმწიფოს მხრიდან და საკანონმდებლო ცვლილებები მოვახდინოთ. დაგეგმილია სხვადასხვა სახის მშვიდობიანი აქციები, სადაც მოვითხოვთ ჩვენი უფლებების დაცვას, ანუ იმას, რომ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაცია ფართო საზოგადოებაში. კარგი იქნება, თუ ჩვენი პრობლემებით დაინტერესდება საზოგადოება და სახელმწიფო. გვსურს, მეტად ვიყოთ ჩართულნი სხვადასხვა პროცესში, რადგან ეს გვჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. ვთვლი, რომ უპრეცენდენტო პროექტია, რადგან თითქმის ყველა რაიონს მოიცავს და, იმედია, შედეგით გარდატეხას მოვახდენთ ქართულ კანონმდებლობაში.“

შშმ პირების მშვიდობიან აქციაზე ზესტაფონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, რომელთაც, თავის მხრივ, პირობა დადეს, რომ, შესაძლებლობის ფარგლებში, უსინათლოთა კავშირის წევრების პრობლემების მოგვარებას მომავალშიც აქტიურად გააგრძელებენ.

**ნუგზარ ქამუშაძე,** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი: „ჩვენ ვეხმარებით უსინათლოთა კავშირის იმ 92 კაციან კონტიგენტს, რომელიც ცხოვრობს ზესტაფონში. იქნება ეს ერთჯერადი მატერიალური დახმარება თუ სხვა პრობლემის მოგვარება. ვცდილობთ, მათ მიერ წამოჭრილი პრობლემური საკითხები მაქსიმალურად ოპერატიულად გადავწყვიტოთ. ამ ეტაპზე ჩვენს მიმართ მათ პრეტენზიები არ გააჩნიათ და მომავალშიც ასე გაგრძელდება. რაც შეეხება დასაქმების პროგრამას, თუ ისინი წარმოადგენენ პროექტს, ჩვენ დავსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან, ერთად ჩამოვაყალიბებთ ურთიერთთანამშრომლობის პროგრამას, შემდგომ კი, შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად მოვახდენთ ამ პროექტების განხორციელებას.“

სტატია იბეჭდება ევროკავშირის პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობების პირები — ადამიანის უფლებათა დაცვის პროცესში“ — ფარგლებში.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

# თამარ ღვინიანიძე: „გოჩა თევდორაძეს ჩვენთვის თითის დაქნევა სურდა!“

**„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერს, გოჩა თევდორაძეს ტელერადიოკომპანია „რიონის“ ლობირების მცდელობაში თავად ტელევიზიის ხელმძღვანელი ადანაშაულებს.**

ქუთაისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ადგილობრივმა თვითმმართველობამ ტელერადიოკომპანია „რიონთან“ აღებული ხელშეკრულება გაწყვიტა და არხს საინფორმაციო უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული თანხის დარჩენილი ნაწილი — 28 ათასი ლარი ჩამოაჭრა. მომხდარს ტელევიზიის ხელმძღვანელმა თამარ ღვინიანიძემ პოლიტიკური შეფასება მისცა და განაცხადა, რომ საკრებულოს გადაწყვეტილება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერის, გოჩა თევდორაძის პირად ინტერესებს ემსახურება. ტელერადიოკომპანია „რიონი“ საინფორმაციო მომსახურებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 40 ათასი ლარით ფინანსდება. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ტელევიზიის ეთერში გადაიცემა ინფორმაცია საკრებულოს მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ, მათ შორის — ხდება საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ინფორმაციის გავრცელებას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და აუქციონების შესახებ.

ხელშეკრულების შეწყვეტას გამოეხმაურა საკრებულოს ოპოზიცია. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, გია უკლებას თქმით, ეს არის პირდაპირი ზეწოლა ტელევიზიაზე, რაც შეამცირებს თვითმმართველობის მუშაობის გამჭვირვალობის ხარისხს.

მომხდარზე სპეციალური განცხადება გაავრცელა პარტიამ „თავისუფალი საქართველო“. განცხადებაში ნათქვამია, რომ პარტია გმობს ტელევიზიისთვის თანხის ჩამოჭრის ფაქტს და შეეცდება საკრებულოს გადაწყვეტილების შეჩერებას უზენაეს საბჭოში.

გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ **თამარ ღვინიანიძესთან:**

**— როდის დაიძაბა ურთიერთობა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციასა და ტელერადიოკომპანია „რიონის“ ხელმძღვანელობას შორის და რა იყო ამის მიზეზი?**

— ურთიერთობაში პრობლემები დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩვენს ქალაქში ვიცე-გუბერნატორის რანგში ჩამოვიდა გოჩა თევდორაძე. გოჩასგან ჯერ კიდევ ადრე ვგრძნობდი არაჯანსაღ დამოკიდებულებას ტელევიზიასთან მიმართებაში. ზოგჯერ მსაყვედურობდა იმის გამო, რატომ არ მიწვევთ ეთერშიო, რაც, ალბათ, ერთგვარი წინაპირობა იყო იმ პროცესებისა, რაც შემდგომში განვითარდა. გოჩა ქუთაისში დაინტერესდა „რიონის“ დაფინანსების საკითხით. რასაც ის დაფინანსებას ეძახის, რეალურად, ეს არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის გადახდილი თანხა. ასე, რომ, ჯერ კიდევ იანვარ-თებერვალში გოჩა თევდორაძე განწყობილი იყო „რიონისთვის“ თითის დასაქნევად.

**— გასული კვირის საკრებულოს სხდომაზე თქვენ საუბრობდით, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ ახორციელებს ზეწოლას ტელევიზიასა და რადიოზე. კონკრეტულად, რა სახის ზეწოლას გულისხმობთ?**

— როცა გოჩა თევდორაძე სათავეში ჩაუდგა „პატრიოტთა ალიანსს“, ჩემთან განხორციელდა ზარი. სამწუხაროდ, მე არ დავინტერესებულვარ ავტორის ვინაობით, რადგან მაშინ ეს არ ჩავთვალე საყურადღებოდ. შემომთავაზეს, თითქოსდა მოქალაქეთა სურვილით, ტელერადიოკომპანია „რიონის“ ეთერში სტუდია „ობიექტივის“ ჩართვა. იმ მოტივით, რომ ჩემთვის მსგავსი წერილობითი ან ზეპირი თხოვნით არავის მოუმართავს და, მეორეც, ობიექტივის 8 საათიანი მაუწყებლობის ჩართვა ნიშნავდა იმას, რომ ჩემი თანამშრომლების ნახევარი შინ უნდა გამეშვა, — მე უარი ვთქვი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ მაუწყებელი, რომელიც სხვის გადაცემებს ავრცელებს, ტელევიზია არ არის. ამას მოჰყვა ალიანსის ქუთაისის ორგანიზაციის პრესმდივნის ვიზიტი რადიო „რიონის“ დირექტორთან, ნინო ძოწენიძესთან, იმავე მიზნით, ანუ საეთერო სივრცის დასაკავებლად. როგორც შემდეგში შევიტყვე, მან რადიოს ხელმძღვანელს მეგობრულ საუბარში შესთავაზა ალიანსის წარმომადგენელთა მოწვევა რომელიმე საავტორო გადაცემაში.



თამარ ღვინიანიძე



გოჩა თევდორაძე

**— გადაცემაში „დიალოგი“, სადაც მოწვეული იყვნენ „ალიანსის“ წარმომადგენლები, ჟურნალისტის მხრიდან დაისვა მწვავე შეკითხვები და სტუმრების მხრიდანაც შეინიშნებოდა გაღიზიანება. რით იყო ეს გამოწვეული?**

— ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიუხედავად, ჩვენ მაინც დავუთმეთ ეთერი. მათივე სურვილით ჩავრთეთ სატელეფონო ზარები. ზარების უმრავლესობა მიმართული იყო მათი პოლიტიკის წინააღმდეგ. საზოგადოების ნაწილმა უნდობლობა გამოუცხადა ალიანსს, რადგან ეს პოლიტიკური ძალა ქუთაისში ყოფილი „ნაციონალებითაა“ დაკომპლექტებული. მათი გაღიზიანება არამხოლოდ ზარებმა, არამედ ჟურნალისტის შეკითხვებმაც გამოიწვია. „დამოუკიდებელი ტელევიზია კი ხართ, მაგრამ ასეთი აგრესია ამ ტელევიზიისგან სხვა დროს არ მოდიოდაო,“ — თქვა მერაბ მეშველიანმა ეთერში. ამის შემდეგ კი დაიწყო ნიადაგის მომზადება ჩვენთვის თითის დასაქნევად, იმიტომ, რომ მე არ ვეახლე ბატონ გოჩას, როგორც ის არის მიჩვეული სხვებისგან და არ ვთხოვე, შენი ჭირიმე, არ დამღუპო-თქო.

**— საკრებულოს სხდომაზე თქვენს მიერ გაკეთებულ განცხადებას უკვე გამოეხმაურა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე. გოჩა თევდორაძემ განაცხადა, რომ ტელერადიოკომპანია „რიონი“ იმყოფება ქუთაისის მერიის შენობაში იჯარის ხელშეკრულების გარეშე. ვის ბალანსზეა ტელევიზიის შენობა და სარგებლობთ თუ არა იჯარის ხელშეკრულებით?**

— შენობა, სადაც ჩვენ ვართ, ეკუთვნის ეკონომიკის სამინისტროს და არა — ქუთაისის მერიას. იჯარის თანხასაც, ცხადია, ვიხდით. ეს ინფორმაცია საჯაროა და ყველას შეუძლია ნახოს, რამდენს და ვის ვუხდით. ამ შენობაში ტელევიზიის გადმოსვლამდე აუტანელი სიტუაცია იყო. მისი რემონტისთვის დახარჯულმა თანხამ 120 ათას ლარს გადააჭარბა. ჩვენ, ფაქტობრივად, შენობა დანგრევას გადავარჩინეთ. თევდორაძის განცხადებიდან გამომდინარე, არ გამიკვირდება, მალე ამ შენობის შესყიდვის სურვილიც რომ გამოთქვას. ჩემი განაწყენება განპირობებულია არა ბიუჯეტიდან თანხის ამოღებით, არამედ — საკრებულოს უმრავლესობის დამოკიდებულებით, რადგან ჩემთან შეუთანხმებლად გადაწყვიტეს ყველაფერი. ამ ადამიანებმა, რომლებიც ადრე „ნაციონალებში“ იყვნენ, ახლა კი „პატრიოტთა ალიანსს“ წარმოადგენენ, არაერთხელ გამოიყენეს ტელევიზიის ეთერი...

**— საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ხელშეკრულების დროებით შეწყვეტის გადაწყვეტილება განპირობებულია მედიკამენტებით დახმარების პროგრამისათვის დამატებითი თანხების გამოყოფის აუცილებლობით. მისაღებია თუ არა თქვენთვის ეს არგუმენტი?**

— მაშინ რატომ არ გაახსენდათ მედიკამენტების პროგრამისთვის თანხების დამატება, როცა ნახევარ მილიონზე მეტი საკუთარი პრემიებისთვის გამოიწერეს მერიის ჩინოვნიკებმა და სახლში წაიღეს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის პროექტში ყველაფერზე იყო გაზრდილი თანხები, და, ამ დროს, მხოლოდ ტელეკომპანია „რიონს“ ჩამოეჭრა 28 ათასი ლარი, ცხადყოფს იმას, რომ ეს იყო წინასწარგამიზნული ქმედება, რათა საინფორმაციო სივრცე დაეკეტათ საზოგადოებისთვის. ცხადია, გოჩა თევდორაძეს არ აწყობს ინფორმაციის გასაჯაროება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ აუქციონებსა და ტენდერებზე, რათა დახურულ რეჟიმში უკეთ შესძლოს მისთვის სასურველი ობიექტების შესყიდვა.

**— თქვენ საუბრობდით ხელშეკრულების მეათე მუხლის დარღვევაზე. გამორიცხავთ თუ არა სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებას?**

— არაფერს გამოვრიცხავ. ჯერ ველოდები სხდომის ოქმსა და დადგენილებას, შემდეგ მივიღებ გადაწყვეტილებას, თუ როგორ მოვიქცე. ამ ეტაპზე მადლობა მინდა გადავუხადო საზოგადოების იმ წარმომადგენლებს,რომლებმაც ტელერადიოკომპანია „რიონს“ თანადგომა გამოუცხადეს.

**მარი პატარაია**

# ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ბავშვები ქუჩაში შეხვდნენ

## სახელმწიფო მოზარდებზე სრულყოფილ ზრუნვას ვერ ახერხებს

**მე-4** გვერდიდან

შესაბამისად, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის პროგრამის ფარგლებში სოციალური სააგენტოს ყველა ტერიტორიული ერთეული მომსახურებას უწევს სწორედ ამ სტატუსის მქონე ბავშვებს, კერძოდ — სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში, მზრუნველობას ახორციელებს იმ ბავშვებზე, რომლებიც არიან სრულიად ობოლნი, ან მათი მშობლები გამოცხადებული არიან უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ბიოლოგიურ მშობლებს საკუთარ შვილებზე რაღაც დროის განმავლობაში ზრუნვა არ შეუძლიათ. რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, **ქუთაისში სოციალურად დაუცველის სტატუსით 250 ბავშვი სარგებლობს. აქედან 50 ბავშვი იღებს ვაუჩერულ მომსახურებას დღის ცენტრში. 100 ბავშვს კი აფინანსებს ორგანიზაცია „კარიტასი“. ისინი უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით და, მათი ინტერესების შესაბამისად, სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობენ.**

**რაც შეეხება, შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებს, მათთვის ქალაქში სამი დღის ცენტრი ფუნქციონირებს, რომელიც ვაუჩერული დაფინანსებით 80 ბენეფიციარს ემსახურება, რომელთაგანაც, ძირითადად, 6-დან 18 წლამდე მოზარდები არიან.**

ცოტა რთულადაა საკითხი იმ ეთნიკური უმცირესობების ბავშვებთან, რომელთაც არ გააჩნიათ მათი იდენტიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები. ნელ-ნელა სოციალურ ბაზაში მათ მოსახვედრად იწყება საბუთების მოწესრიგება, უკვე რამდენიმე ბავშვის იდენტიფიცირება მოვახდინეთ. ამ დროისათვის დახმარებას ვაწარმოებთ მხოლოდ გამოძახებების შემთხვევაში — თუკი შემოვიდა შეტყობინება, რომ ბავშვებზე ვინმეს მიერ ხორციელდება ძალადობა; აიძულებენ მათთვის შეუფერებელი სამუშაოების შესრულებას, იგივე მათხოვრობას, ან მათზე ახდენენ სექსუალურ ძალადობას და ეწევიან მათ ექპლუატაციას. მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს ქუთაისში ჰყავს 15 სოციალური აგენტი, რომლებიც მუშაობენ სწორედ ამ კუთხით. გამოძახების შემთხვევაში აგენტები ვალდებული არიან, გავიდნენ შემთხვევის ადგილზე და მოახდინონ ფაქტის იდენტიფიცირება; ჩართოს ქვეყანაში არსებული ყველა უწყება და მოხდეს მათი ოჯახს გარეთ გაყვანა. უახლოეს მომავალში ველოდებით ე.წ. „ქუჩის ბავშვების“ დასახმარებლად ახალი პროექტის დაწყებას, რომლისათვის საპილოტე ქალაქებად შეირჩა თბილისი, ქუთაისი და ბათუმი, სხვა მხრივ კი, ჯერჯერობით, მათ დახმარებას ვერ ვახდენთ.“

***

რამდენადაც ჩანს, სახელმწიფო ვერ ახერხებს, სრულად უზრუნველყოს შემწეობამოკლებული ბავშვები, რისი ერთ-ერთი მიზეზიც სოციალურ სააგენტოებში არსებული ბიუროკრატიაა. ამის გამო დროში გაწელილი დახმარება დაგვიანებული გამხდარა. შეგახსენებთ, რომ სოციალური სააგენტოს უყურადღებობა გახდა ერთ-ერთი მიზეზი ბათუმში ერთი წლის ბავშვის გარდაცვალებისა.

ფაქტია, რომ სახელმწიფოში ბავშვებზე ზრუნვის სრულყოფილი მექანიზმების არარსებობის გამო, ჩვენს გარშემო კიდევ მრავალი წელი იქნებიან არასრულწლოვანები, რომლებიც არსებობისთვის ბრძოლას არაბავშვური ხერხებით შეეცდებიან.

**ნესტან ჩაგელიშვილი**


# მეგა კრედიტი

Mega Credit

**გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:**

- უჯარიმო, სალომბარდო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან
- იპოთეკური სესხები
- ფულადი გზავნილები
- სავალუტო ოპერაციები

ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი.

**„მეგა კრედიტის“ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით.**

ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10


## გახსენება

### გოგოლა ფაიქიძე



ოთხი წელი გავიდა, დედი, რაც ჩემს გვერდით აღარ ხარ. ძალიან მჭირდები და მაკლიხარ. შენთან საუბარი, შენი დარიგება მენატრება, ჩემო სულით მდიდარო და ლამაზო დედიკო!

დედი, ვისი დარდიც და მონატრებაც გაიყოლე, ეს შენი შვილია. დაგიბრუნდა, მაგრამ ვეღარ მოესწარი მის ნახვას. ახლა შორიდან მთხოვ და მაფრთხილებ, კობას მიხედეო... სანამ ცოცხალი ვარ, როგორც შემეძლება, მის გვერდით ვიქნები!

უშენობა ჩემთვის ორმაგი ტკივილია. იმიტომ, რომ უკანასკნელ გზაზე ვერ გაგაცილე და ვერ დაგიტირე ისე, როგორც იმსახურებდი. მე სხვის დედას ვუვლიდი და შენთვის სასთუმალიც არ გამისწორებია. მაპატიე, დედი, აპატიე შენს უსუსურ შვილს, რომელმაც შენი სახით ძალა და გვერდით მდგომი დაკარგა. დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო შენზე, მაგრამ ძალიან მიჭირს წარსულში საუბარი.

„ვაი დედას“ რომ დაიძახებ და არსაიდან გესმის პასუხად: „რა მოხდა, შვილო?“ — ყველაზე დიდი უბედურება ყოფილა თურმე... მე კი მეგონა, არავისი მშურდა ქვეყნად...

**შენი ნინო**

# მუზეუმი „საწერეთლო", რომელსაც თანადგომა სჭირდება

**საქართველოში სამუზეუმოდ ბოლო ათწლეულებში აღარავის ეცალა, მაგრამ სწორედ ამ დაწესებულებებში დაცული ექსპონატებით შეგვიძლია ვიამაყოთ და თავი მოვიწონოთ მსოფლიოს წინაშე. მართალია, საქართველო მუზეუმების რაოდენობით ვერ გაუტოლდება ლიდერ ქვეყანა ფინეთს, მაგრამ ისეთი დიდი ხნის ისტორიის მქონე ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მსოფლიოს წინაშე ყველაზე ღირსეულად მაინც მუზეუმებით წარსდგება.**

ამასწინათ უჩვეულო მუზეუმი ვნახე საჩხერეში. მის შესახებ ერთმა ნაცნობმა ხელოვანმა მიმითითა. მიუხედავად იმისა, რომ საჩხერე პატარა, პროვინციული ქალაქია და ყველა ერთმანეთს იცნობს, როცა მუზეუმი „საწერეთლო" ვიკითხე, მის შესახებ არცერთმა გზაში შემხვედრმა არაფერი იცოდა. არადა, თურმე ზედ მუზეუმის კართან ვდგავარ და კარის მეზობლებმაც კი არ იცოდნენ იმის შესახებ, რომ უნიკალური ძეგლთსაცავია შუაგულ საჩხერეში.

სატელეფონო კომუნიკაციით აკადემიკოს სერგი დურმიშიძისეულ სახლს მივადექი, სადაც სამხარეთმცოდნეო-ეთნოგრაფიული მუზეუმი მოუწყვია ანდრო გაფრინდაშვილს. ძალიან გამიკვირდა, რომ ბატონი ანდრო ბუღალტერ-ეკონომისტი აღმოჩნდა და მაინც მიმოფანტულ ექსპონატებს დიდი რუდუნებით აგროვებს — ასეთ რამეს უფრო ხელოვანები ან ისტორიკოსები „იკიდებენ ტვირთად". ორი წლის წინ მას, ლევან ჩხეიძეს, ჟანა შუკაკიძეს, ეკატერინე ცერცვაძესა და მარიამ გოგობერიშვილს აზრად მოსვლიათ, რომ საწერეთლოში გაფანტული მნიშვნელოვანი წერილობითი, ფოტო და სხვა ტიპის მასალები მოეგროვებინათ, დაეხარისხებინათ და მომავალი თაობისათვის შეენახათ.

მასპინძელი მოზრდილა იმერულ ეზოში შემომეგება, მისალმების მერე მითხრა, რომ მიცნობდა „ფეისბუქიდან" და გაზეთებიდან, მერე მიმიწვია სახლის მეორე სართულზე, სადაც მუზეუმის ექსპონატებია პრიმიტიულად გამოფენილი.

პატარა საკაბინეტო მაგიდა სავსე იყო კატალოგებით, რომლებსაც, ეტყობოდათ, რომ ახლახან მიანებეს თავი (იმერული წესია, თავზე ცეცხლიც რომ გეკიდოს, სტუმარს მაინც უნდა დიდი პატივით დახვდე). დაახლოებით,



აკადემიკოს სერგი დურმიშიძის სახლი, მუზეუმის დროებითი თავშესაფარი



„P.S. ფოტო" ©

მუზეუმის გამორჩეული ექსპონატი – ნაქარგი „დედა ენა"

3700 ექსპონატი უკვე ნუმერაციამინიჭებული იყო და ჯამში 9 ათასამდე ღირებული ნივთი — არასაგამოფენო სივრცეში „დაბინავებული".

„ჩვენ არ გვაქვს დაფინანსება, არც საგამოფენო ვიტრაჟები. ამჯერად ჩვენი მიზანი უფრო ექსპონატების მოგროვება და დახარისხებაა, ვიდრე მათი საგამოფენო თვალსაზრისით წარმოჩინება", — თქვა **ანდრო გაფრინდაშვილმა.**

2012 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტში ჩაუსვამთ აღნიშნული მუზეუმი 10 ათასიანი დაფინანსების მოთხოვნით, მაგრამ არ დაუმტკიცებია საჩხერის საკრებულოს.

რაც შეეხება მუზეუმის ამჟამინდელ ბაზას, 1915 წელს აგებული სერგი დურმიშიძის სახლია. ცნობილი საჩხერელი აკადემიკოსის შთამომავლობას, რომლებიც საჩხერეში არ ცხოვრობენ, უფასოდ, დროებით სარგებლობაში დაუთმია მუზეუმისათვის.

გარდა იმისა, რომ ბატონი სერგი დიდი მეცნიერი იყო, მას თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია საჩხერის ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებაში. მას გარდაცვალების შემდეგაც სამუზეუმო საქმიანობისათვის „კარგის კეთება" დაჰბედებია — ასე ადვილად ამხელა ფართს არავინ უთმობს უფასოდ ვინმეს.

გარდა იმ სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომლითაც ბატონი სერგი იყო ცნობილი, ერთი საინტერესო დეტალიც შევიტყვე დურმიშიძეების შესახებ. ვასილ დურმიშიძეს, აკადემიკოსის მამას, ერთი შვილი იმის გამო გარდაცვლია, რომ რაჭიდან ყინული ვერ ჩამოუტანია, უფრო სწორედ — გზაში დამლღვალა. ამის შემდეგ მას გადაუწყვეტია, რომ საყინულე მოეწყო საჩხერეში. 80 კუბური მეტრის მოცულობის ღრმა სარდაფი გააკეთებინა (ახლაც არსებობს) და სამკურნალო დანიშნულებით, საჩუქრად აძლევდა საჩხერლებს. ამ სარდაფში ზამთრობით ყინულს ეზიდებოდნენ და მთელი წლის განმავლობაში ვაჭრებსა და მედიკოსებს მისი გამოყენება შეეძლოთ. მუზეუმში ამჟამად დაცულია პრიმიტიული რეფრეჟატორი, რომელიც, სინამდვილეში, კარადაა და მის ერთ განყოფილებაში იყრებოდა ყინულის ნამსხვრევები, რომელიც მთლიან კარადას აციებდა.

მუზეუმის ერთ-ერთ თვალსაჩინო ექსპონატად თამამად შემიძლია დავასახელო ნინო ძინძიბაძე-დადიანის მიერ დამზადებული ნაქარგი „დედა ენა", რომელიც ზუსტი ანალოგია იაკობ გოგებაშვილისეული წიგნისა. ჩემი პროფესიული ინტერესი ამ ნაქარგმა წიგნმა ნამდვილად დაიმსახურა, თუმცა, უამრავ ფოტომასალას შორის ასევე დაცულია რამდენიმე ორიგინალური ფოტო, მათ შორის — მე-19 და მე-20 საუკუნის მკვიდრ ხელოვნების, სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეთა, რომლებსაც გულგრილად ვერავინ გადახედავს. აქ ნახავთ გრიგოლ აბაშიძის, გალაკტიონის, აკაკი წერეთლის, ნოდარ დუმბაძისა და სხვათა ფოტოებს, რომლებიც საზოგადოების (უფრო — სიძველეთა მოყვარულთა და მეცნიერების) დიდ ყურადღებას უთუოდ იმსახურებს.

ელისაბედ წერეთლის ფოტოს მუზეუმის დამაარსებელი ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ექსპონატად მიიჩნევს. ელისაბედ წერეთელი რაჭველი წულუკიძის ასული იყო, შემდეგ საჩხერეში გათხოვილა და ის ზედმიწევნით გავლენიანი ქალბატონი ყოფილა იმდროინდელ საქართველოში, რადგან მის სახელს უკავშირდება საჩხერის წმინდა ნინოს ტაძრის ( ე.წ. სობოროს) და რკინიგზის სადგურის აშენება. მისი აქტიურობით, ჭიათურა საჩხერეს სარკინიგზო ხაზით დაკავშირებია.

მუზეუმი დიდი პატივით ინახავს აკაკი წერეთლის ერთ ნაკლებადცნობილ ფოტოს, რომელიც გადაღებულია ჭიათურაში ათეულობით ადამიანთან ერთად, დავით ნიკოლოზის ძე აბაშიძის (ცნობილი ფოტოგრაფი იყო) მიერ.

— ყველაზე მეტად მინდა, რომ მუზეუმს შესაფერისი ბაზა ჰქონდეს. მართალია, დურმიშიძეებმა უსასყიდლოდ დაგვითმეს ეს სახლი, მაგრამ აუცილებელია, რომ მუზეუმისათვის შესაფერისი შენობა შევისყიდოთ. სამწუხაროდ, ამისი მატერიალური შესაძლებლობები არ გვაქვს. სხვიტორში წერეთლების ერთი საგვარეულო სახლია. ის ადრე ბეჟან წერეთელს ეკუთვნოდა, მერე მასში კოლმეურნეობის კანტორა გაუხსნიათ, კოლექტივების დარღვევის შემდეგ შენობა მუნიციპალიტეტის ბალანსზეა. მისი შეძენა და ვიტრაჟები ახლა ამ 9 ათასიანი მუზეუმისათვის აუცილებელია, რომ ამდენი ექსპონატი სამზეოზეც გამოვიტანოთ და დავიცვათ კიდეც. თუ ვინმე დაგვეხმარება და ამ მადლიან საქმეს გააკეთებს, საშვილიშვილოდ შეგვრჩება ჩვენი წარსულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საწერეთლოში ზემო იმერეთის 45 სოფელი შედიოდა და ყველგან ვეძებეთ და შევაგროვეთ ეს ექსპონატები. მათი დაკარგვა დიდი სირცხვილიც იქნება ახლა. მე არ მინდა ხელფასი, უბრალოდ, სამუზეუმო ბაზა, მუზეუმის გიდი და მცველი საკმარისია იმისათვის, რომ საამაყო წარსულიც შევინარჩუნოთ და ტურისტული მიზნებიც განახორციელოს საჩხერემ, — აღნიშნა „პოსტსკრიპტუმთან" საუბრისას ანდრო გაფრინდაშვილმა.

გამომშვიდობებისას მასპინძელს დავპირდი, რომ საინფორმციო მხარდაჭერას მაქსიმალურად ვეცდები და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასაც ვთხოვ, რომ საინტერესო მასალები გაციფრდეს, რათა ონლაინ რეჟიმშიც გახდეს შესაძლებელი ამ უჩვეულო მუზეუმის ექსპონატების დათვალიერება. ამ ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა ონლაინმუზეუმები, რომლებიც რეალურად ექსპონატების დათვალიერებას ვერ გაუწევს კონკურენციას, მაგრამ ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მართლაც სასურველი მიგნებაა.

**როლანდ ხოჯანაშვილი**

# ხარაგაულის სახალხო თეატრი ბულგარეთშია მიწვეული

**ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის შესახებ მინდა გიამბოთ. 1910 წელს სპირიდონ კიკნაძის ეზოში გაიმართა წარმოდგენები, რომლის სულისჩამდგმელებიც იყვნენ ხარაგაულელი მოქალაქეები შალვა ხარაძე და ასკალონ ლომსაძე. ეს ადამიანები ცდილობდნენ ნიჭიერი ადამიანების შემოკრებას თეატრალურ დასში, რადგან იმდროინდელ ხარაგაულში თეატრალურ წარმოდგენებს არ ჰქონდათ მხოლოდ წმინდა სახელოვნებო დანიშნულება. მაშინდელი თეატრი სოციალური და პოლიტიკური ლოკომოტივის ფუნქციას ასრულებდა. მოყვარული მსახიობების გვერდით ხარაგაულელთა სპექტაკლებში მონაწილეობდნენ შალვა დადიანი, მარო მდივანი, ვასო ურუშაძე, გრიგოლ ჩარკვიანი და ვასო აბაშიძე.**

პუბლიცისტი ვლადიმერ მაჭავარიანი იხსენებს, რომ ხარაგაულში სხვადასხვა როლი შეუსრულებიათ ქართული თეატრის ვარსკვლავებს ვერიკო ანჯაფარიძეს და მიხეილ ჭიაურელს. სხვათაშორის, მახსოვს, რომ ხარაგაულის ერთ პატარა სოფელში, იგორეთში, ამაყობდნენ, რომ დები იშხნელების კონცერტი უშუალოდ მოუსმენიათ.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში სცენისმოყვარეთა დასს რკინიგზის კლუბში ჰქონდა ადგილსამყოფელი. დასს ხელმძღვანელობდა კლუბის გამგე ნოე აბაშიძე. 30-იანი წლებიდან თეატრალური დასი უკვე მუდმივმოქმედი გახდა და 1943-1947 წლებში სახელმწიფო თეატრის სტატუსი ჰქონდა. 1947 წელს სახელმწიფო თეატრი გაუქმდა, მაგრამ მოყვარულთა კოლექტივი აგრძელებდა მოღვაწეობას, რის საფუძველზეც 1959 წელს სახალხო თეატრის წოდებაც მიენიჭა.

იმის გამო, რომ სახალხო თეატრის პირველი რეჟისორი რესპუბლიკის დამსახურებული რეჟისორი ოთარ აბაშიძე იყო, თეატრი მის სახელს ატარებს. ოთარ აბაშიძე არა მარტო კარგი რეჟისორი, არამედ შესანიშნავი მსახიობიც გახლდათ და საინტერესო როლებიც გააცოცხლა სცენაზე. 1967 წლიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა თამაზ კიკნაძე, რომლის ხელმძღვანელობისას პოლიკარპე კაკაბაძის, დავით კლდიაშვილის, რაფიელ ერისთავის პიესები დაუდგამთ.

ერთ-ერთი განსაკუთრებული მიღწევა მოუტანა თეატრს 1990 წელს დადგმულმა „დარისპანის გასაჭირმა"( გრან-პრი დაიმსახურა საკავშირო თეატრალურ ფესტივალზე).



ხარაგაულის სახალხო თეატრი

2004 წლიდან ხარაგაულის თეატრს ხელმძღვანელობს ირინე ჩხეიძე, რომლის ხელმძღვანელობითაც დაიდგა „ნატვრის ხე", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", „თანამდევი სული", „და დროც გაჩერდება".

სპექტაკლი „თანამდევი სული", რომელმაც თეატრს განსაკუთრებული წარმატება მოუტანა, 2007 წელს დაიდგა და მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის 170 წლისთავს. 2009 წელს სპექტაკლი წარადგინეს ბათუმში, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამართულ კვირეულზე. 2010 წელს სპექტაკლი უჩვენეს ყვარელში. 2012 წელს — თბილისში.

2012 წლის ივნისში ქუთაისში გაიმართა იმერეთის თეატრალური ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა იმერეთის მხარის ყველა მუნიციპალიტეტის თეატრი. ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „თანამდევი სული" (სცენარის ავტორი და რეჟისორი ირინე ჩხეიძე) და ფესტივალის მთავარი ნომინაცია — „საუკეთესო სპექტაკლი" მოიპოვა.

თეატრისათვის განსაკუთრებულად წარმატებული 2013 წელი აღმოჩნდა. 26 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ქემერში მიმდინარეობდა თეატრალური ფესტივალი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ქ. ქემერის კულტურის განყოფილება, კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი „ჰარმონია" და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეატრ-სტუდია „მოდინახე". აღნიშნულ ფესტივალზე ხარაგაულის სახალხო თეატრმა „გრან-პრი" დაიმსახურა და მიწვეულ იქნა ბულგარეთში, თეატრალურ ფესტივალზე, რომელიც მიმდინარე წლის 27 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

იმედია, ხარაგაულის სახალხო თეატრი მოახერხებს ბულგარეთში გამგზავრებას, რათა კიდევ ერთხელ შეძლოს ქართული კულტურის წარმოჩინება და გამარჯვებით დაბრუნება.

**როლანდ ხოჯანაშვილი**

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** შეიძლება გაიძულონ სერიოზული გადაწყვეტილების მიღება, რისთვისაც თქვენ მზად არ ხართ. არ აჩქარდეთ, ეცადეთ თავი აარიდოთ პირდაპირ პასუხს. კარგად გაანალიზეთ შემდგომი ქმედებები და მხოლოდ ამის მერე გადადგით ნაბიჯები.

**კურო:** მიენდეთ ინტუიციას და გარემოების მიხედვით იმოქმედეთ. თუმცა არ ღირს საღი აზრის დავიწყებაც და მთლიანად გრძნობების ნდობა.

**ტყუპები:** არასასურველია ფინანსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. კარგად გაანალიზეთ შემოთავაზებული წინადადება და მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდით.

**კირჩხიბი:** სამსახურში რეალურად მოგეცემათ შანსი, რომ ყველას დაუმტკიცოთ თუ როგორი კარგი და შეუფასებელი თანამშრომელი ხართ. ნუ გაუშვებთ ხელიდან ასეთ შანსს.

**ლომი:** ყველაფერი ისე არ ხდება როგორც გვინდა და სურვილი გვაქვს. როცა ვფიქრობთ, რომ სადაცაა ოცნებას ავისრულებთ, სწორედ მაშინ ინგრევა ყველაფერი. ნუ ფიქრობთ, რომ რამე მუდმივია, ყველაფერი ჩვენს გარშემო წარმავალია.

**ქალწული:** ერთად ბევრი საქმე დაგატყდებათ. უმჯობესია თუ ზოგიერთ მათგანზე თვითდაჯერებულად იტყვით უარს.

**სასწორი:** შეგიძლიათ შეცვალოთ ჩვეული ყოველდღიურობა და სტერეოტიპები. იყავით აქტიური და ნურაფერზე ეტყვით საკუთარ თავს უარს. წამოწყებული ნებისმიერი საქმე გამოგივათ.

**მორიელი:** სტაბილური სიტუაციაა, შესაძლებელია ბიზნესის გაფართოებაზეც კი მოგიწიოთ დაფიქრება. საგულდაგულოდ აწონეთ თქვენი სიტყვები, გეგმები და ქმედებები, მაშინ ყველაფერი გამოგივათ. ბიზნესის წარმატება თქვენს წინდახედულობაზეა დამოკიდებული.

**მშვილდოსანი:** მზად იყავით მძიმე და დაძაბული სამუშაოსთვის. მუშაობის დროს ეცადეთ არაფერი გამოგეპაროთ, დაშვებული შეცდომა, შესაძლებელია, მომავალში ძვირად დაგიჯდეთ.

**თხის რქა:** მეგობრები და კოლეგები ბევრ საფიქრალს მოგიტანთ. ზოგიერთ თქვენგანს, შესაძლებელია, ახალი სამსახური შესთავაზონ, რაზეც უარის თქმა არ ღირს.

**მერწყული:** იგნორირებას ნუ გაუკეთებთ შესაძლებლობას რაიმე შეცვალოთ ცხოვრებაში. ცვლილებების სპექტრი საკმაოდ ფართოა, სამსახურით დაწყებული და პირადულით დამთავრებული. ეცადეთ, სწორი გადაწყვეტილება მიიღოთ, წარმატება თქვენს მხარესაა.

**თევზები:** ყველგან და ყველაფერში წარმატებას მიაღწევთ. დაისვენეთ და დრო მეგობრებთან მხიარულად გაატარეთ, რაც თქვენზე წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს.



# „პოსტსკრიპტუმის“ საქველმოქმედო აქცია: „გავაძლიეროთ მომავალი თაობის წიგნიერება“

## ბავშვები ახალ მეგობრებს ეცნობიან

**გურამს ძალიან უყვარს წიგნების კითხვა. განსაკუთრებით ახალი, ილუსტრირებული გამოცემები ხიბლავს. მისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარიც და მეგობარიც წიგნია. ამიტომაცაა, ანთებული თვალებით რომ ათვალიერებს „ადოლფ ჰიტლერის“ ბიოგრაფიულ წიგნს და ჟესტებით მიგვანიშნებს — ცუდი კაციაო. მერე სხვა წიგნებისკენ გაურბის მზერა, ამდენი ახალი წიგნი მასში განსაკუთრებულ ღელვასა და ფორიაქს იწვევს.**


„P.S. ფოტო“ ©

გურამი ქუთაისის 45-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეა. მისი სკოლა დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-პანსიონია.

სწორედ ამ სკოლას ესტუმრა გაზეთი „P.S.“ აქციით — „გავაძლიეროთ მომავალი თაობის წიგნიერება“. 1 ივნისის, ბავშვთა დაცვის დღისათვის დაგეგმილი საქველმოქმედო აქცია ერთი დღით ადრე გაიმართა — 31 მაისს. აქციის აქტიური მხარდამჭერები იყვნენ კომპანიები: „სარაჯიშვილი“, „ნატახტარი“, „ვისოლი“, „ბილაინი“, შპს „მეგობრობა“ (რესტორანი „აფხაზეთი“), შპს „ეკიპაჟი“.

სწორედ მათი დიდი თანადგომით გახდა შესაძლებელი წიგნების შეძენა და სკოლის ბიბლიოთეკის გამდიდრება.

„ეს საჩუქარი განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენი სკოლის მოსწავლეებისთვის, ისინი სამყაროსთან კომუნიკაციას სწორედ წიგნებით ახერხებენ. განსაკუთრებით, ახალი წიგნების შეძენაზე გვაქვს აქცენტი. გაზეთ „P.S.“-ის ეს წამოწყება უდავოდ დიდი საქმეა. მადლობა ყველას, ვინც ამ სასიკეთო საქმეში მიიღო მონაწილეობა,“ — მადლიერებას გამოხატავს 45-ე საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ირინე აბდალაძე.**


„P.S. ფოტო“ ©

წამოსვლისას კიდევ ერთხელ შევავლე მზერა წიგნების თვალიერებით გართულ ბავშვებს, ისინი სხვაგვარად ხარობდნენ ახალ მეგობრებთან შეხვედრით. ამის შემხედვარემ, კიდევ ერთხელ ვირწმუნე: პროექტი შედგა! შემდეგში თქვენი თანადგომით, ალბათ, კიდევ ბევრ ბავშვს მივანიჭებთ სიხარულს. თუმცა გურამის სიხარულთან, ალბათ, ვერაფერი მოვა!

**ლელა თოლორდავა**



შეადგინა ალეკო ნემსაძე

## მილოცვა



ჩვენს პატარა შვილიშვილს **ლუკა ქავთარაძეს** დიდი სიყვარულით ვულოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

**ეკა, ელგა,**
**მერაბ გრიგორაშვილები**

## ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



ქართველი მომღერალი, **ნინი ბადურაშვილი** ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა **ნანა ფანცხავამ** ამოიცნო.

## რას დაარქმევდით?



ზურაბ ჭიაბერაშვილი

დაგვიკავშირდით:

- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

## პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



გიგი უგულავა

ცოდვების მონანიება გადაგარჩენს.

**შაქრო გაბელაშვილი**

მინდა, ვუთხრა უგულავას, ეყოს, რაცა „იგულავა“...

**ნანა თოდუა**